

## შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია<sup>1</sup>

*მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2013 წლის 18 სექტემბერს*

ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს ეს სახელმძღვანელო, რათა ხელი შეეწყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად მათი ვალდებულებების შესრულებას. ეფექტიანი დაცვის საშუალების უფლება არსებითია პირის უფლებების პატივისცემისა და დაცვისათვის. იგი წარმოშობს სუბსიდიარულობის პრინციპს, ემნის რა ეროვნულ მექანიზმს, რომელიც პირველ რიგში უნდა იყოს ამოწურული, სანამ ინდივიდები სტრასბურგში არსებულ კონტროლის მექანიზმს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართავენ.

ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების დანერგვამ შედეგად უნდა შეამციროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამუშაოს მოცულობა, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ საქმეების რაოდენობა შემცირებით, სადაც იგი გადაწყვეტილებას იღებს, ხოლო მეორე მხრივ, საქმეების ეროვნულ დონეზე დეტალური შესწავლა სტრასბურგის სასამართლოს მიერ მათ შემდგომ განხილვას გაადვილებს. შესაბამისად, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება ასახავს ეროვნული სასამართლო სისტემების ფუნდამენტურ როლს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემაში.

აღნიშნული სახელმძღვანელო სამართლებრივი დაცვის საშუალებების კარგ პრაქტიკასთან მიმართებით გამოკვეთს ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპებს, რომლებიც ვრცელდება ზოგადად სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე და ასევე ამ სამართლებრივი დაცვის საშუალებების მახასიათებლებზე, რომლებიც საჭიროა ზოგიერთ განსაკუთრებულ სიტუაციაში და ზოგადად, რათა სამართლებრივი დაცვის საშუალებები ეფექტიანი იყოს. ამ სახელმძღვანელოში განხილული განსაკუთრებული შემთხვევები შეეხება თავისუფლების აღკვეთისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, როგორც გამოყენებული ზომების კანონიერების, ასევე დაკავების პირობების კუთხით, აგრეთვე იმას, თუ როგორ ეპრობიან დაკავებულ პირს; კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების სავარაუდო დარღვევისას გამოძიებას; დაცვის საშუალებას სამსახურიდან გათავისუფლების წინააღმდეგ; სამართლებრივი დაცვის საშუალებას ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის წინააღმდეგ. სახელმძღვანელო ასევე

<sup>1</sup> ამონარიდი მასალიდან: *ib. Reforming the European Convention on Human Rights : Interlaken, İzmir, Brighton and beyond; A compilation of instruments and texts relating to the ongoing reform of the ECHR Directorate General Human Rights and Rule of Law Council of Europe, 2014*

წარმოადგენს კარგ პრაქტიკას, რომელიც შეიძლება შთაგონების წყარო გახდეს კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებისათვის.

ამას გარდა, სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ მნიშვნელოვანია, ეროვნული სასამართლოები და ტრიბუნალები მხედველობაში იღებდნენ კონვენციის პრინციპებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, და სახელმძღვანელო ამ კუთხით ხაზს უსვამს ეროვნულ პრაქტიკას.

## 1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი აწესებს უფლებას ეფექტიან სამართლებრივ დაცვის საშუალებაზე, აცხადებს რა, რომ „ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო მუხლი, რომელიც საფუძვლად უდევს კონვენციის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას, ადამიანის უფლებების პატივისცემის შესახებ 1-ლი მუხლის მოთხოვნებთან და ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ 46-ე მუხლთან ერთად.

ხელს უწყობს რა კონვენციის სავარაუდო დარღვევების ეროვნული დონეზე გადაწყვეტას, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს სუბსიდიარულობის პრინციპის პრაქტიკული გამოყენებისას. ეფექტიანი დაცვის საშუალების დანერგვამ კონვენციის სავარაუდო დარღვევის შესახებ ყველა საჩივართან მიმართებით უნდა შეამციროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამუშაოს მოცულობა, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების რაოდენობის შემცირებით, ხოლო მეორე მხრივ, საქმეების ეროვნულ დონეზე დეტალური განხილვა გაადვილებს სტრასბურგის სასამართლოს მიერ მათ შემდგომ განხილვას.<sup>2</sup> ამას გარდა, აწესებს რა ახალი სამართლებრივი დაცვის საშუალებების რეტროაქტიულობას, განსაკუთრებით იმ საშუალებებისა, რომლებიც შექმნილია სისტემური ან სტრუქტურული პრობლემების წინააღმდეგ, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების იმპლემენტაცია ხელს უწყობს სტრასბურგის სასამართლოს სამუშაოს მოცულობის შემცირებას. სასამართლოში მიმდინარე საქმეები შესაძლებელია გადაწყდეს ეროვნულ დონეზე.<sup>3</sup> ფაქტობრივად, მაშინ, როდესაც სტრასბურგის სასამართლო

<sup>2</sup> როგორც აღინიშნა შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაუმჯობესების თაობაზე მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში Rec(2004)6

<sup>3</sup> როგორც აღინიშნა გადამეტებულად ხანგრძლივი სასამართლო განხილვებისაგან ეფექტური დაცვის საშუალებების შესახებ რეკომენდაციაში CM/Rec(2010)3

ჩვეულებრივ შეაფასებს შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვას საჩივრის მიღების დღეს, მან შეიძლება გადაუხვიოს ამ წესიდან, როდესაც მხედველობაში იღებს ახალი ეფექტიანი დაცვის საშუალებების იმპლემენტაციას.<sup>4</sup> ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება ასახავს ეროვნული სასამართლო სისტემების ფუნდამენტურ როლს კონვენციის სისტემაში, იმ შემთხვევებში, როდესაც პრევენციული ზომები არაადეკვატური აღმოჩნდა. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობის დადგენის ვალდებულებასთან ერთად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ზოგადი ვალდებულება, მოაგვარონ პრობლემები, რომლებიც საფუძვლად უდევს სტრასბურგის სასამართლოს განჩინებებში დასახელებულ დარღვევებს.<sup>5</sup>

განმეორებითი საჩივრები ზოგადად ავლენენ ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებების იმპლემენტაციის განუხორციელებლობას, მაშინ, როდესაც სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით პილოტური გადაწყვეტილებები და გადაწყვეტილებები პრინციპებზე, უთითებენ ზოგადი ზომების მიღების საჭიროებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დარღვევები. უმნიშვნელოვანესია, რომ სახელმწიფოებმა სრულად და სწრაფად აღასრულონ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები. როგორც სასამართლომ აღნიშნა, თუ სახელმწიფოები ვერ უზრუნველყოფენ ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებას, „პირები მუდმივად იძულებულნი იქნებიან, მიმართონ სტრასბურგის სასამართლოს საჩივრით... რომელიც სხვა შემთხვევაში, პირველ რიგში, განხილულ უნდა იქნეს ეროვნული სამართლებრივი სისტემის მიერ. გრძელვადიან პერიოდში, გარკვეულ ეტაპზე, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზეც, კონვენციის მიერ შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის სქემის ეფექტიანი ფუნქციონირება შესაძლებელია, შესუსტდეს.“<sup>6</sup>

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა და ტრიბუნალებმა, სასამართლო პროცესების გამართვისას და გადაწყვეტილებების მიღებისას, გაითვალისწინონ კონვენციის პრინციპები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მხედველობაში მიღებით. აღნიშნული ხელს უწყობს შიდა სამართლებრივ დაცვის საშუალებებს იყოს იმდენად ეფექტიანი, რამდენადაც ეს შესაძლებელია კონვენციის დარღვევების აღმოფხვრისას, და ასევე

<sup>4</sup> მაგალითისთვის იხილეთ *Icyer v. Turkey*, საჩივარი. No. 18888/02, გადაწყვეტილება 12 იანვარი 2006, პარაგრაფი 72; *Fakhretdinov v. Russia*, საჩივარი. Nos. 26716/09, 67576/09, 7698/10, 26716/09, 67576/09 და 7698/10, გადაწყვეტილება 23 სექტემბერი 2010, პარაგრაფი 30; *Latak v. Poland*, საჩივარი.No. 52070/08, გადაწყვეტილება 12 ოქტომბერი 2010.

<sup>5</sup> როგორც აღინიშნა ზემოთ ციტირებულ რეკომენდაციაში Rec(2004)6

<sup>6</sup> იხილეთ *Kudła v. Poland*, საჩ. No. 30210/96, განჩინება 26 ოქტომბერი 2000, პარაგრაფი 155.

ეხმარება სტრასბურგის სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოებს და ტრიბუნალებს შორის დიალოგს.<sup>7</sup>

კონვენციის დარღვევებისათვის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებების იმპლემენტაცია დიდი ხნის წუხილია ევროპის საბჭოსათვის, ხაზგასმით მიიჩნევა რა პრიორიტეტად უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მომავლის შესახებ რიგრიგობით სხვადასხვა ქვეყნების მიერ გამართულ მაღალი დონის კონფერენციებზე, როგორცაა მინისტრთა კომიტეტის შვეიცარიის თავმჯდომარეობით გამართული კონფერენცია(ინტერლაკენი, შვეიცარია, 18-19 თებერვალი, 2010 წელი), თურქეთის თავმჯდომარეობით(იზმირი, თურქეთი, 26-27 აპრილი, 2011 წელი)<sup>8</sup> და გაერთიანებული სამეფოს თავმჯდომარეობით(ბრაიტონი, გაერთიანებული სამეფო, 19-20 აპრილი, 2012 წელი). ბრაიტონის კონფერენციაზე მიღებული დეკლარაცია, მაგალითად, გამოხატავდა „მონაწილე სახელმწიფოების მზადყოფნას კონვენციის ეფექტიანი იმპლემენტაციის უზრუნველყოფისათვის“ „საჭიროების შემთხვევაში, როგორც ზოგადი, ასევე, სპეციალური ხასიათის ახალი შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაცნობის მხედველობაში მიღებით, კონვენციით დაცული უფლებების სავარაუდო დარღვევისათვის“, და ასევე “სასამართლო პროცესების გამართვისას და გადაწყვეტილების მიღებისას ეროვნული სასამართლოების და ტრიბუნალების წახალისებით, რათა მხედველობაში მიიღონ კონვენციის შესაბამისი პრინციპები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა; და მოდავეებისათვის უფლების მიცემით, ეროვნული სასამართლო პროცედურის შესაბამის ფარგლებში, მაგრამ დაბრკოლებების გარეშე, ეროვნული სასამართლოებისა და ტრიბუნალების ყურადღება მიაქციონ კონვენციის შესაბამის მუხლებზე და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციაზე.“ ამ ორი მუხლის გარდა, დეკლარაციამ მიიწვია მინისტრთა კომიტეტი „შიდა სამართლებრივ დაცვის საშუალებებზე კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს მოსამზადებლად.“<sup>9</sup> შედეგად, მინისტრთა კომიტეტმა დანიშნა ადამიანის უფლებათა ხელმძღვანელი კომიტეტი(CDDH), რათა შეემუშავებინა ეს სახელმძღვანელო.<sup>10</sup>

სახელმძღვანელოს აქვს ორი მიზანი. პირველი არის იმ ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპების იდენტიფიცირება, რომლებიც ვრცელდება ეფექტიან სამართლებრივ დაცვის საშუალებებზე, და ასევე ამ სამართლებრივი დაცვის საშუალებების მახასიათებლებზე, რომლებიც საჭიროა ზოგიერთ განსაკუთრებულ სიტუაციაში და ზოგადად, რათა სამართლებრივი დაცვის საშუალებები ეფექტიანი

<sup>7</sup> იხილეთ ასევე ბრაიტონის დეკლარაციის პარაგრაფი 12(c).

<sup>8</sup> იხილეთ იზმირის დეკლარაციის შემდგომი გეგმა(Follow-up Plan), სექცია B.1(a).

<sup>9</sup> იხილეთ ბრაიტონის დეკლარაციის პარაგრაფი 9 (f) ii

<sup>10</sup> იხილეთ მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებები მის 22-ე სესიაზე, 23 მაისი 2012 წელი.

იყოს. მეორე მიზანია კარგი პრაქტიკის იდენტიფიცირება, რომელიც შესაძლებელია გახდეს შთაგონების წყარო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის. თუმცა, კარგი პრაქტიკის აქ მოცემული მაგალითები არ წარმოადგენს სტანდარტულ მოდელს. ისინი მხოლოდ შეიძლება მოერგონ კონკრეტულ სამართლებრივ სისტემებს და კონსტიტუციურ ტრადიციებს.

კონვენციის 32-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს, თავისი პრეცედენტული სამართლის მეშვეობით, აქვს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების, განმარტებისა და გამოყენების საბოლოო იურისდიქცია. აღნიშნული პრეცედენტული სამართალი, კერძოდ, სასამართლოს პილოტური და ძირითადი გადაწყვეტილებები არის წინამდებარე გზამკვლევის ძირითადი წყარო. სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების აღსრულებასთან დაკავშირებით მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული დროებითი და საბოლოო დადგენილებები ასევე უზრუნველყოფენ აუცილებელ ძირითად ზომებსა და წარმატებულ პრაქტიკაზე მითითებებს, როგორც ამას აკეთებს მინისტრთა კომიტეტის ყოველწლიური ანგარიში სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მონიტორინგის შესახებ. მინისტრთა კომიტეტი თავის რეკომენდაციებში Rec(2004)6 შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაუმჯობესებისა და CM/Rec(2010)3 გადაჭარბებული ხანგრძლივობის სამართალწარმოებისთვის ეფექტიან სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ, რომელსაც თან ახლდა გზამკვლევი წარმატებული პრაქტიკის შესახებ, კომიტეტი ასევე შეეხო ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის შესახებ უფლებას.

გზამკვლევი ასევე ეფუძნება ეროვნულ ანგარიშებს ინტერლეიქენის და იზმირის დეკლარაციების რელევანტური ნაწილების იმპლიმენტაციისათვის მიღებული ზომების შესახებ, რომელიც იყო CDDH-ის თანმდევნი ნაწილის<sup>11</sup> ანალიზისა და რეკომენდაციების საგანი და ასევე სხვა ნებისმიერ რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც სახელმძღვანელოზე მუშაობის მოსამზადებელ პერიოდში მონაწილე სახელმწიფოებს გადაეცათ. ამასთან დაკავშირებით, წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებენ, საჭიროების შემთხვევაში, თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი სისტემისთვის აუცილებელი გაუმჯობესების ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის, კონსულტაცია გამართონ „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ (ვენეციის კომისია) და მართლმსაჯულობის ეფექტიანობის ევროპულ კომისიასთან (CEPEJ).

<sup>11</sup> იხილეთ, CDDH-ის ანგარიში ინტერლეიქენის და იზმირის დეკლარაციების რელევანტური ნაწილების იმპლიმენტაციისათვის წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომების შესახებ, დოკუმენტი CDDH(2012)R76 Addendum I, რომელიც მინისტრთა კომიტეტმა ჩაინიშნა 1159-ე შეხვედრისას (2013 წლის 16 იანვარი).

გზამკვლევი სათანადო საჭიროებისას უნდა ითარგმნოს და ფართოდ გავრცელდეს, განსაკუთრებით, შემდეგ ორგანოებსა და პირებზე:

- ეროვნულ და ( მათ ვისაც აქვს უფლებამოსილება ამ ტერიტორიაზე) რეგიონალურ საკანონმდებლო ორგანოებზე;
- პროცედურული და საკანონმდებლო რეფორმების ინიცირებაზე უფლებამოსილ ორგანოებზე, როგორცაა, მართლმსაჯულების საბჭო, აღნიშნული დამოკიდებულია სხვადასხვა ეროვნული სამართლებრივი სისტემების მოწყობაზე;
- სასამართლო ორგანოებზე, კერძოდ, უმაღლეს ეროვნულ სასამართლოებზე;
- სასამართლოს ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირებზე, მათ შორის, რეგისტრატორებსა და თანამდებობის პირებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან განჩინებებისა და გადაწყვეტილებების აღსრულებასა და იმპლემენტაციაზე;
- მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ სამთავრობო სამსახურის რელევანტურ მომსახურე პერსონალზე, ეროვნულ ან რეგიონალურ დონეზე;
- რელევანტური წარმოების არასასამართლო ეტაპზე სხვა საჯარო სამსახურის პასუხისმგებელ მომსახურე პერსონალზე, კერძოდ, პოლიციაზე, ბრალდების ორგანოებზე, საპატიმრო ორგანოებზე ან მათზე, ვინც პასუხისმგებელი არიან სხვა ნებისმიერ პატიმრობის ადგილზე, სპეციფიკური ეროვნული მახასიათებლების მხედველობაში მიღებით.

## II. ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ზოგადი მახასიათებლები

კონვენციის მე-13 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლებას, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აკისრებს შემდეგ ვალდებულებას:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, აღნიშნული დებულება ჰგავს კონვენციის 35-ე მუხლის 1 პარაგრაფს, რომლის დროსაც სასამართლოს შეუძლია საკითხი განიხილოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალება ამოწურულია იმდენად, რამდენადაც „ეს წესი დაფუძნებულია ვარაუდზე, რომელიც აისახება კონვენციის მე-13 მუხლზე, რომ სავარაუდო

დარღვევასთან დაკავშირებით შიდასახელმწიფოებრივ სისტემაში სამართლებრივი დაცვის საშუალება ხელმისაწვდომია.<sup>12</sup> თუმცა, „ერთადერთი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლის ამოწურვასაც ითხოვს 25-ე მუხლის 1 პარაგრაფი არის ის, რომელიც სავარაუდო დარღვევას ეხება და რომელიც ხელმისაწვდომი და საკმარისია. ასეთი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობა საკმარისად ცხადი უნდა იყოს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც.“<sup>13</sup>

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი, რომელიც ადგენს, რომ ყველას, ვისაც აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს სასამართლოს წინაშე დაიწყოს საქმის წარმოება, რათა შეამოწმოს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერებისათვის აუცილებელი პროცედურული და მატერიალური მოთხოვნების შესაბამისობა, მე-13 მუხლის ზოგადი მოთხოვნების დამატებით, წარმოადგენს სპეციფიკურ მოთხოვნას.<sup>14</sup> ამიტომაც არის, რომ მითითებული პრეცედენტული სამართალი ეხება, ასევე, მე-5(3) და 35-ე მუხლებს. გარდა ამისა, სასამართლომ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად, დაადგინა სპეციფიკური პროცედურული ვალდებულების არსებობა, რომ გარკვეულ შემთხვევებში სავარაუდო დარღვევები გამოძიებულ უნდა იყოს.<sup>15</sup>

#### **i. „სამართლებრივი დაცვის საშუალების“ მნიშვნელობა, მე-13 მუხლის ფარგლებში**

კონვენცია მოითხოვს, რომ „სამართლებრივი დაცვის საშუალება“ იყოს ისეთი, რომ კომპეტენტურ შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს საშუალებას აძლევდეს განიხილოს კონვენციის რელევანტური საჩივრის შინაარსი და აგრეთვე, გასცეს შესაბამისი დახმარება.<sup>16</sup> სამართლებრივი დაცვის საშუალება ეფექტური მხოლოდ მაშინ არის, თუ იგი ხელმისაწვდომი და საკმარისია. იგი საკმარისად ცხადი უნდა იყოს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც<sup>17</sup> და საქმის ინდივიდუალურ გარემოებებთან დაკავშირებით, ეფექტური უნდა იყოს, როგორც

<sup>12</sup> იხილეთ, მაგალითად, *McFarlane v. Ireland*, საჩ. ნომ. 31333/06, დიდი პალატის 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება, 107-ე პარაგრაფი.

<sup>13</sup> *Ibidem*.

<sup>14</sup> იხილეთ, *Claes v. Belgium*, საჩ. ნომ. 43418/09, 2013 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება, 123-ე პარაგრაფი; *A and Others v. the United Kingdom*, საჩ. ნომ. 3455/05, დიდი პალატის 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, 202-ე პარაგრაფი.

<sup>15</sup> სასამართლომ ასევე დაადგინა პროცედურული ვალდებულების არსებობა კონვენციის მე-4 და მე-8 მუხლის თანახმად, მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ არის განხილული მოცემულ სახელმძღვანელოში: შესაბამისად, იხილეთ, *Rantsev v. Cyprus and Russia*, საჩ. ნომ. 25965/04, 2010 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილება და *M.C. v. Bulgaria*, საჩ. ნომ. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება.

<sup>16</sup> იხილეთ, *M.S.S. v. Belgium and Greece*, საჩ. ნომ. 30696/09, 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება, 288-ე პარაგრაფი; *Halford v. the United Kingdom*, საჩ. ნომ. 20605/92, 1997 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, 64-ე პარაგრაფი.

<sup>17</sup> იხილეთ, *McFarlane v. Ireland*, საჩ. ნომ. 31333/06, 2010 წლის 10 სექტემბერი, 114-ე პარაგრაფი; *Riccardi Pizzati v. Italy*, საჩ. ნომ. 62361/00, დიდი პალატის 2006 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, 38-ე პარაგრაფი.

პრაქტიკაში, ასევე კანონში.<sup>18</sup> მისი ეფექტურობა დამოკიდებული არ არის მომჩივნისათვის ხელსაყრელი შედეგის სიცხადეზე.<sup>19</sup>

მე-13 მუხლი არ მოითხოვს სამართლებრივი დაცვის საშუალების რაიმე კონკრეტულ ფორმას. სახელმწიფოს აქვს შეფასების ზღვარი, თუ როგორ უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაგრამ დარღვევის რისკის ქვეშ მყოფი უფლების ბუნება გავლენას ახდენს იმ სამართლებრივი დაცვის საშუალების ტიპზე, რომელსაც სახელმწიფო ირჩევს წინამდებარე უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად.<sup>20</sup> მაშინაც კი, როდესაც ერთი სამართლებრივი დაცვის საშუალება მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მე-13 მუხლის მოთხოვნებს, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაერთიანებამ შეიძლება შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნები. <sup>21</sup>ეფექტურობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ არსებული ფორმალური სამართლებრივი დაცვის საშუალებები, არამედ, აგრეთვე, ზოგადი სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ, ისევე, როგორც მომჩივნის პირადი გარემოებები.<sup>22</sup>

## ii. „ეროვნული ხელისუფლების“ მნიშვნელობა მე-13 მუხლის ფარგლებში

მე-13 მუხლით განსაზღვრული „ეროვნული ხელისუფლება“ არ არის აუცილებელი, რომ იყოს სასამართლო ხელისუფლება და თუ მე-13 მუხლში მოხსენიებული „ეროვნული ხელისუფლება“ არ არის სასამართლო, მისი უფლებამოსილება და გარანტიები, რომლებსაც იგი უზრუნველყოფს მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრისთვის თუ რამდენად ეფექტური იყო სამართლებრივი დაცვის საშუალება.<sup>23</sup>

## iii. „დარღვევის“ მნიშვნელობა მე-13 მუხლის ფარგლებში

მე-13 მუხლი არ მოითხოვს შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებას ნებისმიერ სავარაუდო საჩივართან მიმართებით. დარღვევის შესახებ საჩივარი უნდა იყოს სადავო. ევროპულ სასამართლოს არ შეუძლებია სადავობის ზოგადი დეფინიცია, თუმცა აღნიშნა, რომ „როცა პირს აქვს სადავო საჩივარი, იმის თაობაზე, რომ ის არის

<sup>18</sup> იხილეთ, *El-Masri v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"*, საჩ. ნომ. 39630/09, 2012 წლის 13 დეკემბერი, 255-ე პარაგრაფი; *Kudla v. Poland*, საჩ. ნომ. 30210/96, 2000 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 152-ე პარაგრაფი.

<sup>19</sup> იხილეთ, *Kudla v. Poland*, op. cit., 157-ე პარაგრაფი.

<sup>20</sup> იხილეთ, *Budayeva and Others v. Russia*, საჩ. ნომ. 15339/02 და სხვ., 2008 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება, 190-191 პარაგრაფები.

<sup>21</sup> იხილეთ, *De Souza Ribeiro v. France*, საჩ. ნომ. 22689/07, 2012 წლის 13 დეკემბერი, 79-ე პარაგრაფი; *Kudla v. Poland*, op. cit., 157-ე პარაგრაფი.

<sup>22</sup> იხილეთ, *Dorđević v. Croatia*, საჩ. ნომ. 41526/10, 2012 წლის 24 ივლისი, 101-ე პარაგრაფი; *Van Oosterwijk v. Belgium*, საჩ. ნომ. 7654/76, 1980 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება, 36-40 პარაგრაფები.

<sup>23</sup> იხ.: *Kudla v. Poland*, op. cit., პარაგრაფი 157.



კონვენციით განმტკიცებული უფლების დარღვევის მსხვერპლი, [მას] უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, იმისთვის, რომ მიიღოს, როგორც [მისი] საჩივრის გადაწყვეტა, ასევე თუ საჭიროა, მოიპოვოს ზიანის ანაზღაურება“.<sup>24</sup> საკითხი, რამდენად არის საჩივარი სადავო, უნდა გადაწყდეს კონკრეტული ფაქტებისა და სამართლებრივი საკითხების ბუნების ან წამოჭრილი საკითხების ფონზე. სასამართლო ითვალისწინებს სხვადასხვა მიდგომას, რათა დაასკვნას, რომ მის წინაშე წარდგენილი საჩივარი მე-13 მუხლის თანახმად არ არის სადავო. მან შეიძლება აღნიშნოს, რომ მომჩივნების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არ მიუთითებს „რაიმე სახის დარღვევაზე“<sup>25</sup> ან არ განსაზღვრავს იმგვარ მსჯელობას, რომელიც მიდის დასკვნამდე, რომ შესაბამისი ნორმა არ დარღვეულა, რათა ჩაითვალოს, რომ მომჩივანთა მიერ აღძრული საჩივარი არ იყო „სადავო“.<sup>26</sup>

### III. სამართლებრივი დაცვის მექანიზმების თავისებურებანი კონკრეტული შემთხვევების საპასუხოდ

მე-13 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების ფარგლები ყოველთვის განსხვავდება მომჩივნის მიერ კონვენციის საფუძველზე გაკეთებული საჩივრის ბუნების მიხედვით. შესაბამისად, ეს სექცია ეხება თავისებურებებს, კონკრეტულ, სპეციფიკურ შემთხვევებს. სახელდობრ, სამართლებრივი დაცვის საშუალებები თავისუფლების აღკვეთისთვის, გამოძიებები კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების სავარაუდო დარღვევების კონტექსტში, სამართლებრივი დაცვის საშუალებები პირის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის წინააღმდეგ და სამართლებრივი დაცვის საშუალებები შიდა სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება დროში გაწეილი სამართალწარმოების ეფექტურ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს, პირმა უნდა მიმართოს სათანადო რეკომენდაციას CM/Rec(2010)3.

#### A. შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები თავისუფლების აღკვეთასთან მიმართებით

კონვენციის მე-5 მუხლის ძირითადი მიზანი არის, დაიცვას ინდივიდები თვითნებური და გაუმართლებელი დაკავებისგან.<sup>27</sup> იმის განსაზღვრად, თუ რამდენად მოხდა პირისთვის „მისი თავისუფლების აღკვეთა“ მე-5 მუხლის

<sup>24</sup> იხ.: *Leander v. Sweden*, საჩ. ნომ. 9248/81, 1987 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 77.

<sup>25</sup> იხ., მაგალითად, *Husniye Tekin v. Turkey*, საჩ. ნომ. 50971/99, 2005 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

<sup>26</sup> იხ., მაგალითად, *Sevgin and Ince v. Turkey*, საჩ. ნომ. 46262/99, 2005 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება.

<sup>27</sup> იხ. *McKay v. the United Kingdom*, საჩ. ნომ. 543/03, დიდი პალატის გადაწყვეტილება 3 ოქტომბერი 2006, პარა. 30. კონვენციის მე-5 მუხლის გაფართოებული ანალიზისთვის იხ. სასამართლოს კვლევის განყოფილების მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელო.

მნიშვნელობით, „ათვის წერტილი უნდა იყოს მისი კონკრეტული მდგომარეობა და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთელი რიგი საკითხები, ისეთი, როგორცაა, სადავო ღონისძიების განხორციელების ტიპი და მანერა“.<sup>28</sup> თავისუფლების აღკვეთის ცნება მოიცავს ორივე ელემენტს, ობიექტურს, პირის დაკავებას კონკრეტულ, აკრძალულ სივრცეში, საგრძნობი დროით და სუბიექტურ ელემენტს იმ მხრივ, რომ პირს არ გამოუხატავს ნამდვილი თანხმობა სადავო დაკავებასთან დაკავშირებით.<sup>29</sup> მაშასადამე, მე-5 მუხლი გამოიყენება მრავალი შემთხვევისას,<sup>30</sup> აეროპორტის სატრანზიტო ზონაში დაკავებისას,<sup>31</sup> პოლიციის განყოფილებაში დაკითხვისას,<sup>32</sup> ან პოლიციის მიერ გაჩერებისა და ჩხრეკისას,<sup>33</sup> ან შინა პატიმრობისას.<sup>34</sup>

თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები, უნდა ეხებოდნენ ორივეს, ღონისძიებათა კანონიერებასა და დაკავების პირობებს, მათ შორის, პირის საპატიმროში მოპყრობის გზებსაც.

## 1. თავისუფლების აღკვეთის კანონიერება

პროცედურული გარანტიები, რომლითაც უნდა აღიჭურვონ დაკავებული პირები, მოიცავს დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმტანილი დაპატიმრებული ან დაკავებული პირის უფლებას, დროულად წარსდგნენ სასამართლოს წინაშე და მათი საქმე განხილულ იქნეს გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდნენ სასამართლო განხილვამდე, როგორც ეს დადგენილია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფით; ნებისმიერი დაკავებული პირის უფლებას, დაკავების კანონიერება დროულად იქნეს განხილული სასამართლოს მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფით; და ზიანის ანაზღაურების უფლებას უკანონო დაკავებისთვის, როგორც ეს დადგენილია მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფით.

### i. დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმტანილი დაპატიმრებული ან დაკავებული პირების უფლება, დროულად წარედგინონ სასამართლოს და მათი საქმე განხილულ იქნეს გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდნენ სასამართლო პროცესამდე (მუხლი 5, პარაგრაფი 3)

მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი არ იძლევა რაიმე სახის შესაძლო გამონაკლისებს დაპატიმრების ან დაკავების შემდეგ, პირის სასამართლოს წინაშე დროული

<sup>28</sup> იხ. *Guzzardi v. Italy*, საჩ. ნომ. 7367/76, 1980 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 92.

<sup>29</sup> იხ. *Stanev v. Bulgaria*, საჩ. ნომ. 36760/06, დიდი პალატის გადაწყვეტილება 17 იანვარი 2012, პარაგრაფი 117.

<sup>30</sup> იხ., მაგალითად, *Stanev v. Bulgaria*; *Storck v. Germany*, საჩ. ნომ. 61603/00, 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება.

<sup>31</sup> იხ., მაგალითად, *Amuur v. France*, საჩ. ნომ. 19776/92, 1996 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.

<sup>32</sup> იხ., მაგალითად, *Creanga v. Romania*, საჩ. ნომ. 29226/03, დიდი პალატის გადაწყვეტილება 23 თებერვალი 2012.

<sup>33</sup> იხ., მაგალითად, *Foka v. Turkey*, საჩ. ნომ. 28940/95, 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება.

<sup>34</sup> იხ., მაგალითად, *Lavents v. Latvia*, საჩ. ნომ. 58442/00, 2002 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

წარდგენის ვალდებულებისგან.<sup>35</sup> გადასინჯვა უნდა იყოს ავტომატური და არ უნდა იყოს დამოკიდებული დაკავებული პირის მხრიდან განაცხადის გაკეთებაზე,<sup>36</sup> იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ისეთი შემთხვევები, სადაც უკანონო მოპყრობას დაქვემდებარებულ პირებს არ შეუძლიათ მოითხოვონ მათი დაკავების გადახედვა; იგივე შეიძლება გავრცელდეს მოწყვლადი კატეგორიის დაპატიმრებულ პირებზეც, როგორებიცაა, შეურაცხადი<sup>37</sup> ან ისეთი პირები, ვინც ვერ საუბრობენ სამართალწარმოების ენაზე.<sup>38</sup> მოსამართლეები უნდა იყვნენ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი.<sup>39</sup> მათ უნდა მოუსმინონ მათ წინაშე წარდგენილ პირს მანამ, სანამ გამოიტანენ საკუთარ გადაწყვეტილებას<sup>40</sup> და გამოიკვლიონ დაკავების გადახედვის საჩივრის არსებითი ნაწილი.<sup>41</sup> თუ სახეზე არ არის არც ერთი პირობა, რაც გაამართლებდა პირის დაკავებას, მოსამართლე უნდა იქნას აღჭურვილი უფლებამოსილებით, რათა ბრძანოს მისი გათავისუფლება.<sup>42</sup>

მეორე მხრივ, მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი მოითხოვს შიდა სასამართლოებისგან, რათა გადახედონ პირის დაკავებაში ყოფნის საჭიროებას იმ კუთხით, რომ უზრუნველყოს მათი გათავისუფლება თუ გარემოებები აღარ ამართლებენ მათი თავისუფლების აღკვეთას. პირის მეტ-ნაკლებად ავტომატური გადაწყვეტილებებით პატიმრობაში დატოვება ეწინააღმდეგება ამ დებულებით გაწერილ გარანტიებს. მტკიცების ტვირთი არ შეიძლება შებრუნებულ იქნას და დაკავებულებს არ უნდა დაევალოთ იმის მტკიცება, რომ არსებობს მათი გათავისუფლების მიზეზები.<sup>43</sup>

### კარგი პრაქტიკის მაგალითი

სომხეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს დაკავებას გამოძიების დროს და დაკავებას სასამართლო წარმოებისას. გამოძიების ეტაპზე დაკავებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც გამოდის განჩინება და რომელსაც სასამართლო ახანგრძლივებს ყოველ ჯერზე არა უმეტეს ორი თვისა და რომელმაც არ უნდა გადააჭარბოს დროის განსაზღვრულ მონაკვეთს, სასამართლო სხდომის დროს დაკავების მაქსიმალური ხანგრძლივობა არ განისაზღვრება. მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტს ბრალდებული პირის

<sup>35</sup> იხ., *Bergmann v. Estonia*, საჩ. ნომ. 38241/04, 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება.

<sup>36</sup> იხ. *McKay v. the United Kingdom*, პარაგრაფი 34.

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> იხ. *Ladent v. Poland*, პარაგრაფი 74.

<sup>39</sup> იხ., მაგალითად, *Brincat v. Italy*, პარაგრაფი 21.

<sup>40</sup> იხ., მაგალითად, *Schiesser v. Switzerland*, პარაგრაფი 31.

<sup>41</sup> იხ. *Krejčíř v. theCzechRepublic*, პარაგრაფი 89.

<sup>42</sup> იხ. *Assenov v. Bulgaria*, პარაგრაფი 146.

<sup>43</sup> იხ. *Bykov v. Russia*, საჩ. ნომ. 4378/02, დიდი პალატის გადაწყვეტილება 10 მარტი 2009, პარაგრაფი 66.

დაკავებას სასამართლო წარმოების მიმდინარეობისას, ის აღარ არის ვალდებული, საკუთარი ინიციატივით მიუბრუნდეს ამ საკითხს შემდგომში. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 65-ე და 312-ე მუხლების შესაბამისად, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია, დაკავება აღკვეთის სხვა ღონისძიებით ჩაანაცვლოს. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი შუამდგომლობის შეტანის შესაძლებლობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება, იმდენად, რამდენადაც ეს ეხება მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის სავარაუდო დარღვევას.<sup>44</sup>

**i. სასამართლოს მიერ დაკავების კანონიერების სწრაფი განხილვის უფლება (მუხლი 5, პარაგრაფი 4)**

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის თანახმად, „ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი“. დაპატიმრებული ან დაკავებული პირები უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ, რომ სასამართლომ გადახედოს რამდენად არის მათი თავისუფლების აღკვეთისთვის საჭირო პროცედურული და არსებითი პირობები „კანონიერი“ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელი პარაგრაფის გაგებით.<sup>45</sup> გადახედვის გამოყენების შესაძლებლობა უნდა იქნეს შეთავაზებული შესაბამისი პირის საპატიმრო დაწესებულებაში მიყვანისთანავე და, თუ აუცილებელია, შეთავაზება შემდგომშიც უნდა იქნეს განმეორებული გონივრულ შუალედებში.<sup>46</sup> სასამართლო, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის, უნდა იყოს დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ორგანო.<sup>47</sup> თუ არსებობს მეორე ინსტანცია, მან დაკავებულები უნდა აღჭურვოს იმავე გარანტიებით, რითიც ისინი პირველ ინსტანციაში იყვნენ აღჭურვილნი, *inter alia* იმის უზრუნველყოფით, რომ სამართალწარმოება „სწრაფად“ განხორციელდება.<sup>48</sup>

<sup>44</sup> იხ. *Martirosyan v. Armenia*, საჩ. ნომ. 23341/06, 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება.

<sup>45</sup> იხ., მაგალითად, *Idalov v. Russia*, საჩ. ნომ. 5826/03, დიდი პალატის გადაწყვეტილება 22 მაისი 2012.

<sup>46</sup> იხ. *Molotchko v. Ukraine*, საჩ. ნომ. 12275/10, 2012 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 148; *Kurt v. Turkey*, 1998 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 123.

<sup>47</sup> იხ.: *Stephens v. Malta (No. 1)*, საჩ. ნომ. 11956/07, 2009 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება.

<sup>48</sup> იხ.: *Kucera v. Slovakia*, საჩ. ნომ. 48666/99, 2007 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 107;

*Smatana v. theCzechRepublic*, საჩ. ნომ. 18642/04, 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 128, საქმე, რომელშიც სასამართლომ გამოიყენა მესამე ინსტანციის პრინციპი, როცა განიხილავდა საჩივარს მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფთან დაკავშირებით.

მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი მოიცავს სპეციალურ პროცედურულ გარანტიებს, რომლებიც განსხვავდებიან კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პარაგრაფისაგან, რომელიც ეხება სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ის [მუხლი 5(4)] წარმოადგენს *lex specialis* ამ უკანასკნელ ნორმასთან მიმართებით,<sup>49</sup> ისევე, როგორც მე-13 მუხლის უფრო ზოგად მოთხოვნილებებთან, რომლებიც ეხებიან ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლებას.<sup>50</sup> მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფით განსაზღვრული სამართალწარმოება უნდა იყოს სასამართლო ბუნების და სთავაზობდეს სადავო თავისუფლების აღკვეთის ბუნების შესაბამისად განსაზღვრულ პროცედურულ გარანტიებს.<sup>51</sup> სასამართლო მოსმენა მოითხოვება ისეთ შემთხვევებში, როცა პირის დაკავება ჯდება მე-5 მუხლის 1(c) პარაგრაფით მოცულ წინა-სასამართლო დაკავების ფარგლებში. დაკავებულის შესაძლებლობა მოსმენილ იქნეს როგორც პირისპირ ან თუ საჭიროება მოითხოვს, წარმომადგენლის მეშვეობით, არის ფუნდამენტური გარანტია.<sup>52</sup> მიუხედავად ამისა, მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი არ მოითხოვს, რომ დაკავებული პირი მოსმენილ იქნეს ყოველ ჯერზე, როცა ის გაასაჩივრებს განჩინებას, დაკავების გახანგრძლივების თაობაზე,<sup>53</sup> თუმცა არსებობს იმის უფლება, რომ მოსმენილ იქნას გონივრული შუალედებით.<sup>54</sup>

სამართალწარმოება უნდა იყოს შეჯიბრებითი და ყოველთვის უნდა იქნას დაცული „მხარეთა თანასწორობის“ პრინციპი.<sup>55</sup> პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან, წამოიწყონ სამართალწარმოება და გადაწყვიტეს შეამოწმონ თავიანთი დაკავების კანონიერება, ვერ გამოიყენებენ ამ უფლებას ეფექტურად მანამ, სანამ ისინი დროულად და ადეკვატურად არ იქნებიან ინფორმირებულნი იმ მიზეზებზე, რის გამოც მათ აღეკვეთათ თავისუფლება.<sup>56</sup> წინასასამართლო დაპატიმრების შემთხვევაში, თავისუფლებააღკვეთილ პირებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ მათ წინააღმდეგ მიმართული ბრალდების ელემენტები. ეს მოთხოვნა ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ უნდა მოისმინოს მოწმეთა ჩვენებები.<sup>57</sup> მან ასევე შესაძლოა ბრძანოს, რომ დაკავებულებს ან მათ წარმომადგენლებს მიეცეთ იმ დოკუმენტებზე წვდომის უფლება, რომლებზეც დაფუძნებულია ბრალდება.<sup>58</sup>

<sup>49</sup> იხ.: *Claes v. Belgium*, პარაგრაფი 123.

<sup>50</sup> იხ.: *A. and Others v. the United Kingdom*, პარაგრაფი 202; *Claes v. Belgium*, პარაგრაფი 123.

<sup>51</sup> იხ.: *Idalov v. Russia*, პარაგრაფი 161.

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> იხ.: *Saghinadze and Others v. Georgia*, საჩ. ნომ. 18768/05, 27 მაისი 2010, პარაგრაფი 150.

<sup>54</sup> იხ. *Altinok v. Turkey*, საჩ. ნომ. 31610/08, 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 53;

*Catal v. Turkey*, საჩ. ნომ. 26808/08, 2012 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 33.

<sup>55</sup> იხ. *A. and Others v. the United Kingdom*, პარაგრაფი 204.

<sup>56</sup> იხ. *Van der Leer v. the Netherlands*, App. No. 11509/85, 1990 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 28.

<sup>57</sup> იხ. *TurcanandTurcan v. Moldova*, საჩ. ნომ. 39835/05, 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პარაგრაფები 67-70.

<sup>58</sup> იხ. *Korneykova v. Ukraine*, საჩ. ნომ. 39884/05, 2012 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 68.

სასამართლომ შეიმუშავა პრინციპები, რომლებიც ეხება შეურაცხადი პირის თავისუფლების აღკვეთის ზედამხედველობას.<sup>59</sup> ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის გათვალისწინებული გარანტიების გარდა, დამატებითი გარანტიები შესაძლოა იყოს აუცილებელი, რათა დაცული იქნეს ისეთი პირები, ვისაც საკუთარი გონებრივი შეზღუდულობის გამო, სრულად არ აქვთ შესაძლებლობა, იმოქმედონ საკუთარი სახელით.<sup>60</sup> ინდივიდს, რომელიც არ არის ჩართული პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მისი დაპატიმრებისკენ მიმართულ სამართალწარმოებაში, აქვს საფუძველი, იდავოს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობდა მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის დარღვევით.<sup>61</sup> დაპატიმრება განიხილება არათანაზომიერი ბუნების მქონედ, მაშინაც, როცა ინდივიდი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს სამართლებრივი ქმედუნარიანობა, არ იქნება ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ მას წარმომადგენლად დაუნიშნეს ადვოკატი და, ასევე, თუ ის არც ერთხელ არ შეხვდება საკუთარ ადვოკატს.<sup>62</sup> იმ პირებისთვის, რომლებსაც ჩამოერთვათ სამართლებრივი ქმედუნარიანობა და, მაშასადამე, არ შეუძლიათ პირადად უხელმძღვანელონ საკუთარი დაკავების საკითხს, სასამართლოს მხრიდან ავტომატური გადასინჯვა აუცილებელია.<sup>63</sup>

უმნიშვნელოვანესია, ინდივიდისთვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლო და მიეცეს შესაძლებლობა, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მოუსმინონ სასამართლოს წინაშე. სასამართლო ადგენს, რომ ეს პრინციპები გამოიყენება ორივე შემთხვევაში, როცა დაკავება სანქცირებული იყო სასამართლო ხელისუფლების მიერ და როცა დაკავების ცენტრში მოთავსება ინიცირებულ იყო კერძო პირის, სახელდობრ, შეურაცხად პირთა მეთვალყურის მიერ და სანქცირებულ იქნა არა-სასამართლო ორგანოს მიერ.<sup>64</sup> რაც შეეხება პირის დაკავებას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, თუმცა სამართლებრივი დაცვის საშუალებები შესაძლოა, დაექვემდებარონ მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის მოთხოვნებს, სამართალწარმოება ჩაითვლება არაეფექტურად თუ საზედამხედველო ორგანო უარს განაცხადებს ესტუმროს დაკავების ადგილს, რათა დარწმუნდეს, ხომ არ არის ის არათანაზომიერი ბუნების. ეს, თავის მხრივ, კანონიერი დაკავების აუცილებელი წინაპირობაა.<sup>65</sup>

თავისუფლებააღკვეთილმა პირებმა სწრაფად უნდა მოიპოვონ სასამართლო განჩინება მათი დაკავების კანონიერებასთან დაკავშირებით ან ბრძანება დაკავების

<sup>59</sup> იხ. *Mihailovs v. Latvia*, საჩ. ნომ. 35939/10, 2013 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 154; *Megyeri v. Germany*, საჩ. ნომ. 133770/88, 1992 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 22.

<sup>60</sup> იხ. *Claes v. Belgium*, პარაგრაფი 128.

<sup>61</sup> იხ. *Winterwerp v. the Netherlands*, საჩ. ნომ. 6301/73, 1979 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 61.

<sup>62</sup> იხ. *Beiere v. Latvia*, საჩ. ნომ. 30954/05, 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 52.

<sup>63</sup> იხ. *Shtukaturov v. Russia*, საჩ. ნომ. 44009/05, 2008 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 123.

<sup>64</sup> იხ. *Mihailovs v. Latvia*, პარაგრაფი 155.

<sup>65</sup> იხ. *Claes v. Belgium*, პარაგრაფები 131-134.

შეწყვეტის შესახებ თუ დამტკიცდება, რომ ის უკანონოა.<sup>66</sup> დროულობა, რომლითაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დაკავების კანონიერების საკითხის გადაწყვეტისას, შეიძლება შეფასდეს დაკავების მომენტიდან გათავისუფლების შესახებ საჩივრის გაკეთებისა და მომჩივნის დაკავების კანონიერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პერიოდის შეფასებით.<sup>67</sup> იმის განსაზღვრისთვის, თუ რამდენადაა სასამართლო გადაწყვეტილების დროულად გამოტანის მოთხოვნები დაკმაყოფილებული, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც ფაქტორები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ გონივრულ ვადაში სასამართლო მოსმენის გამართვასთან დაკავშირებით მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის თანახმად, ასევე, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პარაგრაფი, მათ შორის სამართალწარმოების სირთულე, მათი წარმართვა შიდასახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოებისა და მომჩივნის მიერ და ისიც თუ რა დევს სასწორის პინაზე უკანასკნელთან დაკავშირებით.<sup>68</sup>

### კარგი პრაქტიკის მაგალითები

დეპორტაციის ცენტრში მოთავსებასა და დაკავების გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, ის ფაქტი, რომ ესტონეთის შიდა სასამართლოები ახანგრძლივებენ პიროვნების დაკავების ვადას ყოველ ორ თვეში, გაძევების შესაძლებლობის შეფასებით და ის ნაბიჯები, რაც ხელისუფლების მიერ ამის მისაღწევად გადაიდგა, მომჩივნისთვის მნიშვნელოვან პროცედურულ გარანტიას წარმოადგენს. მართლაც, ქვეყნიდან გასვლის აკრძალვის შესახებ აქტი ადგენს, რომ თუ არ არის შესაძლებელი, მოხდეს დაკავებული უცხოელის გასახლება 48 საათის განმავლობაში, პირი შესაძლოა მოთავსდეს დეპორტაციის ცენტრში, გახდეს სასამართლო ხელისუფლების სუბიექტი გასახლებამდე, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. თუ ამ პერიოდის განმავლობაში შეუძლებელია გაძევების აღსრულება, ადმინისტრაციულმა სასამართლომ უნდა გაახანგრძლივოს დაკავების ვადა ორ თვემდე, იმ დრომდე, სანამ გაძევება არ იქნება აღსრულებული ან უცხოელი არ იქნება გათავისუფლებული. გარდა ამისა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულმა მოსამართლემ ნებართვა უნდა გასცეს, რათა გატარდეს ადმინისტრაციული ღონისძიებები. სასამართლომ ადმინისტრაციული ღონისძიება სამართლიანად უნდა გამოაცხადოს ან გააუქმოს ნებართვა ადმინისტრაციული ღონისძიების გატარებასთან დაკავშირებით. ეს განჩინებები შეიძლება გასაჩივრდეს. ეს ნიშნავს, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება

<sup>66</sup> იხ. *Idalov v. Russia*, პარაგრაფი 154.

<sup>67</sup> იხ. *Sanchez-Reisse v. Switzerland*, საჩ. ნომ. 9862/82, 1986 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 54.

<sup>68</sup> იხ. *Mooren v. Germany*, საჩ. ნომ. 11364/03, დიდი პალატის გადაწყვეტილება, 9 ივლისი 2009, პარაგრაფი 106.

არსებობს და უზრუნველყოფს დაკავების საფუძვლების რეგულარულ სასამართლო გადახედვას.<sup>69</sup>

ესტონეთში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის წინასწარი დაკავების კონტექსტში, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაკავების კანონიერების გადასინჯვა იყო ინკორპორირებული განჩინებაში, რომლითაც საპატიმროში ორი თვით დარჩენა იქნა ნაბრძანები. დაკავების კანონიერების გადახედვა შეიძლება შემდგომში ჩაითვალოს, როგორც ინკორპორირებული ექსტრადიციის კანონიერების შესახებ განჩინებაში, რომელზე დაყრდნობითაც გახანგრძლივდა დაკავება. მიუხედავად განსაზღვრული ხანდაზმულობის არ არსებობისა, უკანასკნელ სასამართლო განჩინებაში სასამართლო დაკმაყოფილდა იმით, რომ ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პარაგრაფი 447(7) განსაზღვრავს ერთ წელს, როგორც ექსტრადიციის მოლოდინში მყოფი პირის დაკავების მაქსიმალურ ხანგრძლივობას. თუკი შიდა სასამართლოები დაადგენდნენ, რომ ექსტრადიცია სამართლებრივად შეუძლებელი იყო ან თუკი ხელისუფლების ორგანოები ერთი წლის განმავლობაში ვერ შეძლებდნენ ექსტრადიციის განხორციელებას, პირი უნდა გათავისუფლებულიყო. მაშასადამე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაკავების კანონიერების გადახედვა შესაბამისობაში იყო კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის მოთხოვნებთან.<sup>70</sup>

რუმინეთში, სასამართლო პროცესის დროს, კომპეტენტური სასამართლო განსაზღვრავს *ex officio* ყოველ 60 დღეში, კონკრეტულ შემთხვევებში კვლავ რამდენად გამართლებულია პირისათვის თავისუფლების აღკვეთა. თუ კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლება აღმოაჩენს, რომ დაკავება არის უკანონო ან აღარ არის აუცილებელი, ის აუქმებს ღონისძიებას და ბრძანებს დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონის ფარგლებში ექვემდებარება აპელაციას, რომელიც უნდა იქნას განხილული შეტანიდან სამ დღეში. სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავების კანონიერების გადახედვა, როგორც ეს მოთხოვნილია კონვენციის მე-5§4 მუხლით, გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაში და ბრალის შემდგომი გამოცხადება, ისევე როგორც, დანაშაულის სამართლებრივად დადგენა, საკმარისია მომჩივნის დაკავების გაგრძელების გასამართლებლად.<sup>71</sup> დაკავების კანონიერების შეფასება ჩაითვლება ეფექტურად თუ პირველი ინსტანციის სასამართლო დეტალურად გააანალიზებს მას და აღნიშნული შეფასებისთვის კანონით გათვალისწინებული აპელაციის უფლება არის დამატებითი

<sup>69</sup> იხ. *Dolinskiy v. Estonia*, საჩ. ნომ. 14160/08, 2010 წლის 2 თებერვლის განჩინება.

<sup>70</sup> იხ. *Taylor v. Estonia*, საჩ. ნომ. 37038/09, 2012 წლის 26 ივნისის განჩინება.

<sup>71</sup> იხ. *Negoescuv. Romania*, საჩ. ნომ. 55450/00, 2005 წლის 17 მარტის განჩინება.



გარანტია, რათა მისი ეფექტურობა არ იქნას დარღვეული სააპელაციო განხილვის დროს.<sup>72</sup>

iii. უკანონო დაკავებისათვის კომპენსაციის მიღების უფლება (მე-5 მუხლი, მე-5 პარაგრაფი)

კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, „ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.“ კომპენსაციის მიღების უფლება გულისხმობს, რომ დადგინდა მე-5 მუხლის ერთ-ერთი პარაგრაფის დარღვევა შიდასახელმწიფო ხელისუფლების ან სასამართლოს მიერ.<sup>73</sup> იგი ქმნის სასამართლოს წინაშე კომპენსაციის მოთხოვნის პირდაპირ და აღსრულებად უფლებას.<sup>74</sup> ზიანის ანაზღაურების უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს განსაზღვრულობის გარკვეული ხარისხით<sup>75</sup> და ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც თეორიულად,<sup>76</sup> ასევე, პრაქტიკულად.<sup>77</sup> იმისათვის, რომ მიჩნეულ იყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებად, უკანონო დაკავებისათვის კომპენსაციის მინიჭება დამოკიდებული არ უნდა იყოს საბოლოო გამართლებასა ან დაკავებულის გათავისუფლებაზე.<sup>78</sup> ეროვნულმა ხელისუფლებამ შიდა კანონმდებლობა გადაჭარბებული ფორმალობის გარეშე უნდა განმარტოს და გამოიყენოს.<sup>79</sup> მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფი ხელშემკვრელ მხარეებს არ უკრძალავს კომპენსაციის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილება პირის მიერ დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის დადასტურების საფუძველზე მიიღოს, თუმცა ადგენს, რომ გადაჭარბებული ფორმალობა, რაც გამოიხატება უკანონო დაკავების შედეგად არამატერიალური ზიანის განცდის მტკიცების დაკისრებაში, კომპენსაციის მიღების უფლებასთან შეუთავსებელია.<sup>80</sup> მინიჭებული კომპენსაციის ოდენობა არ შეიძლება

<sup>72</sup> იხ. *Lapusan v. Romania*, საჩ. ნომ. 29723/03, 3 ივნისი 2008, პარაგრაფები 45-46, *Ceuta v. Romania*, საჩ. ნომ. 1136/05, 2012 წლის 6 ნოემბრის განჩინება, პარაგრაფი 25.

<sup>72</sup> იხილეთ, *N.C. v. Italy*, საჩ. ნომ. 24952/94, 2002 წლის 18 დეკემბრის დიდი პალატის გადაწყვეტილება, 49-ე პარაგრაფი.

<sup>73</sup> იხილეთ, *A. and Others v. the United Kingdom*, 229-ე პარაგრაფი.

<sup>74</sup> იხილეთ, *Ciulla v. Italy*, საჩ. ნომ. 11152/84, judgment of 22 February 1989 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, 44-ე პარაგრაფი.

<sup>75</sup> იხილეთ, *Dubovik v. Ukraine*, App. No. 33210/07, judgment of 15 October 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 74-ე პარაგრაფი.

<sup>76</sup> იხილეთ, *Chitayev and Chitayev v. Russia*, საჩ. ნომ. 59334/00, 2007 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება.

<sup>77</sup> იხილეთ, *Nechiporuk and Yonkalo v. Ukraine*, საჩ. ნომ. 42310/04, 2011 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება, 231-ე გადაწყვეტილება.

<sup>78</sup> იხილეთ, *Houtman and Meeus v. Belgium*, საჩ. ნომ. 22945/07, judgment of 17 March 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება, 44-ე პარაგრაფი.

<sup>79</sup> იხილეთ, *Danev v. Bulgaria*, საჩ. ნომ. 9411/05, 2010 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება, 34-35 პარაგრაფები.

იყოს მსგავს საქმეებზე სასამართლოს მიერ მიკუთვნებული თანხის ოდენობაზე შესამჩნევად მცირე.<sup>81</sup>

### კარგი პრაქტიკის მაგალითები

რუმინეთში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 504-ე მუხლი უზრუნველყოფს უკანონო დაკავებისათვის კომპენსაციის მიღების უფლებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ შემდეგ პირებს: პირს, რომელიც ბრალდებული იყო, იმ შემთხვევაში თუ იგი გამართლდა; პირს, რომელსაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ან ვისი თავისუფლებაც უკანონოდ შეიზღუდა; ან პირს, რომელსაც თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის, ამნისტიის ან დანაშაულის დეკრიმინალიზაციის შემდეგ. თავისუფლების აღკვეთა ან უკანონო შეზღუდვა საჭიროების შემთხვევაში უნდა დადგინდეს პროკურორის ბრძანებით, რომელიც გააუქმებს თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიებას. პროკურორის ბრძანება გამოდის სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე ან აღნიშნული ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც აუქმებს თავისუფლების აღკვეთის ან შეზღუდვის ღონისძიებას ან პირის მიმართ გამამართლებელი გადაწყვეტილებით ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტით. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სამართლებრივი დაცვის საშუალება ეფექტიანია, როდესაც დადგინდება თავდაპირველი დაკავების უკანონობა, რაც ხაზს უსვამს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ მოიცვას სასამართლოს ყველა შეცდომა, უშუალოდ, კონვენციის მე-5 (5) მუხლმა უნდა შეავსოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ხარვეზები. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოების მხრიდან რუმინეთის სამოქალაქო კოდექსის 998-ე და 999-ე მუხლების გამოყენებისას, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ეხება, ადგილი ჰქონდა ტენდენციურობას.<sup>82</sup> თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეჭვქვეშ არ აყენებდა აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალების არაეფექტიანობასთან დაკავშირებულ მის წინა გადაწყვეტილებებს, სადაც ადგილი არ ჰქონია დაკავების უკანონობის დადგენას.<sup>83</sup>

სლოვაკეთში, სახელწმიფო პასუხისმგებლობის შესახებ კანონი ეხება საჯარო ავტორიტეტების მიერ გამოწვეული მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს, რაც ასევე მოიცავს პატიმრობას.

<sup>80</sup> იხილეთ, *Ganea v. Moldova*, საჩ. ნომ. 2474/06, 2011 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება.

<sup>82</sup> იხილეთ, *Tomulet v. Romania*, საჩ. ნომ. 1558/05, 2010 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება.

<sup>83</sup> იხილეთ, *Tomulet v. Romania*, *Ogič v. Romania*, საჩ. ნომ. 24708/03, 2010 წლის 17 მაისი, 56-ე პარაგრაფი; *Degeratu v. Romania*, საჩ. ნომ. 35104/02, 2010 წლის 6 ივლისი, 59-ე პარაგრაფი.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა განხილვა ჩვეულებრივი სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ ექცევა. უფრო მეტიც, კონსტიტუციის 127-ე მუხლის მიხედვით, არსებობს სხვა პროცედურაც, რომლის მეშვეობითაც პირმა კონვენციის 1, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის შეიძლება, მოიპოვოს კომპენსაცია. სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეული გარემოებების არსებობისას, შიდა სამართლებრივი აღნიშნული ორი დებულების კომბინაცია შეთავსებადი იყო კონვენციის მე-5 (5) მუხლის მოთხოვნებთან.<sup>84</sup>

#### iv. პირის დაკავება, რომლის დროსაც მისი ადგილსამყოფელი უცნობია

პირის დაუსწრებელი დაკავება წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის სერიოზულ დარღვევას.<sup>85</sup> ხელისუფლების ვალდებულებაა პირის დაკავებისას მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინოს. სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-5 მუხლი უნდა აღქმული იყოს იმგვარად, რომ იგი ხელისუფლების წარმომადგენლებს სთხოვს „გაატარონ ეფექტური ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ გაუჩინარების რისკის თავიდან აცილება და ჩაატარონ სწრაფი და ეფექტური გამოძიება იმ საჩივართან დაკავშირებით, სადაც ამტკიცებენ, რომ პირი დააკავეს და მას შემდეგ იგი არავის უნახავს.“<sup>86</sup> გარდა ამისა, „როდესაც პირის ნათესავები ამტკიცებენ, რომ იგი ხელისუფლების ხელში გაუჩინარდა, მე-13 მუხლის მიზნებისათვის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების ცნება, გარდა საჭიროების შემთხვევაში კომპენსაციის გადახდისა, მოიცავს საფუძვლიან და ეფექტიან გამოძიებას, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები და აგრეთვე, უზრუნველყოფს საგამოძიებო მოქმედებებში ნათესავების ეფექტიანი ხელმისაწვდომობას.“ სასამართლოს მიაჩნია, რომ „ამ თვალსაზრისით, მე-13 მუხლის მოთხოვნები უფრო ფართოა, ვიდრე მე-5 მუხლით გათვალისწინებული ხელშემკვრელი სახელმწიფოების ვალდებულება, ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება იმ პირთა გაუჩინარების საქმეზე, რომლებიც მათი კონტროლის ქვეშ იყვნენ და ვის კეთილდღეობაზეც, შესაბამისად, პასუხისმგებლობა აკისრიათ.“<sup>87</sup>

<sup>84</sup> იხილეთ, *Loyka v. Slovakia*, საჩ. ნომ. 16502/09, 2012 წლის 9 ოქტომბრის განჩინება.

<sup>85</sup> იხილეთ, *Tomuleț v. Romania*, საჩ. ნომ. 1558/05, 2010 წლის 16 ნოემბრის განჩინება.

<sup>86</sup> იხილეთ, *Kurt v. Turkey*, 1998 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, 124-ე პარაგრაფი.

<sup>87</sup> იხილეთ, *Kurt*, paragraph 140, *Er and Others v. Turkey*, საჩ. ნომ. 23016/04,

2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, 111-ე პარაგრაფი და *Timurtas v. Turkey*, საჩ. ნომ. 23531/94, 2000 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, 111-ე პარაგრაფი.

## 2. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის საშუალება, თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში

იმისათვის, რომ შეფასდეს კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტიანობა, თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს დაკავების არადამაკმაყოფილებელ პირობებთან ან თავისუფლება აღკვეთილი პირის მოპყრობასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ უნდა გაირკვეს შეუძლია თუ არა პირს მოიპოვოს პირდაპირი და შესაბამისი ზიანის ანაზღაურება;<sup>88</sup> ასეთი ანაზღაურება არ უნდა შედგებოდეს მხოლოდ უფლებების არაპირდაპირი დაცვისაგან, რაც გულისხმობს, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება უშუალოდ დაკავებული პირისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.<sup>89</sup> „პრევენციული და საკომპენსაციო დაცვის საშუალებები უნდა თანაარსებობდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს“,<sup>90</sup> მხოლოდ საკომპენსაციო დაცვის საშუალება არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ დაკავებულ პირებთან დაკავშირებით, წარმოიქმნება პრეზუმფცია, რომ დაკავებულ პირთათვის დაზიანების მიყენება და მათი გარდაცვალება აღნიშნული დაკავების პერიოდში განხორციელდა. ამ შემთხვევაში საწინააღმდეგოს დამტკიცების მტკიცების ტვირთი ხელისუფლების ორგანოებს აკისრიათ, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი არგუმენტები.<sup>91</sup>

### i. პრევენციული სამართლებრივი დაცვის საშუალებები

სასამართლო მიიჩნევს, რომ ზიანის გამოსწორების ოპტიმალური საშუალებაა უფლების დარღვევის სწრაფი შეწყვეტა, რათა ადგილი არ ჰქონდეს დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას.<sup>92</sup> სამართლებრივი დაცვის საშუალება პრაქტიკულად უნდა იყოს ეფექტიანი, ე.ი. მას უნდა შეეძლოს სავარაუდო დარღვევის გაგრძელების თავიდან აცილება და მომჩინის დაკავების მატერიალური პირობების

<sup>88</sup> იხილეთ, *Torreggiani and Others v. Italy*, საჩ. ნომ. 43517/09, 2013 წლის 8 იანვრის პილოტური გადაწყვეტილება, 50-ე პარაგრაფი.

<sup>89</sup> იხილეთ, *Mandić and Jović v. Slovenia*, საჩ. ნომ. 5774/10 და 5985/10, 2011 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 107-ე პარაგრაფი. მოცემულ საქმეში, სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმრის გადაყვანის მოთხოვნა, ნებისმიერი საფუძვლით, განსაკუთრებით ციხის გადატვირთულობის მიზეზით, მხოლოდ ციხის ადმინისტრაციის მიერ შეიძლება დაკმაყოფილდეს, ასეთი სამართლებრივი დაცვის საშუალება მომჩინისთვის ხელმისაწვდომი არ არის და, შესაბამისად, არ შეიძლება ეფექტიანად ჩაითვალოს.

<sup>90</sup> იხილეთ, *Ananyev and Others v. Russia*, საჩ. ნომ. 42525/07 და 60800/08, 2012 წლის 10 ოქტომბერი, 98-ე პარაგრაფი.

<sup>91</sup> იხილეთ, *Salman v. Turkey*, საჩ. ნომ 21986/93, 2000 წლის 27 ივნისის დიდი პალატის გადაწყვეტილება, მე-100 პარაგრაფი.

<sup>92</sup> იხილეთ, *Torreggiani and Others v. Italy*, 96-ე პარაგრაფი.

გაუმჯობესების უზრუნველყოფა.<sup>93</sup> აღნიშნული პრინციპი გამოიყენება, ასევე, პირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების დროს.<sup>94</sup> უფრო კონკრეტულად, კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან, რომელიც დაკავშირებულია ადეკვატური მოვლის ნაკლებობასთან იმ დაკავებული პირის მიმართ, რომელსაც სერიოზული დაავადება აწუხებს. პრევენციულმა სამართლებრივმა დაცვის საშუალებამ უნდა უზრუნველყოს პირდაპირი და დროული შვების მინიჭება.<sup>95</sup> ამგვარი დახმარების სიჩქარე დამოკიდებულია ჯანმრთელობის პრობლემის ბუნებაზე. იგი უფრო მკაცრია, სადაც ჯანმრთელობისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების ან სიკვდილის რისკი არსებობს.<sup>96</sup> სამართლებრივი დაცვის საშუალების სასამართლოდან მომდინარეობა არ არის გადამწყვეტი. მაგალითად, აღინიშნა, რომ გარკვეული გარემოებების არსებობისას, ადმინისტრაციული დაცვის საშუალებები ეფექტიანად შეიძლება იყოს მიჩნეული.<sup>97</sup> საჩივრის მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანო კომპეტენტური იყოს სავარაუდო დარღვევების განსაზღვრაზე. პასუხისმგებელი ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი, ისეთი, როგორცაა დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებელი მონიტორინგის საბჭო ან ჰოლანდიის საჩივრების კომისია. ზედამხედველ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, მომჩივანთან ერთად, გამოიძიოს საჩივრები და გამოსცეს მხოლოდ და აღსრულებადი გადაწყვეტილებები.<sup>98</sup>

გარდა ამისა, პატიმარზე დაკისრებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელსაც არ აქვს დროული ეფექტი, არც ადეკვატურია და არც ეფექტიანი; ციხეში დაკავების ძირითადი უარყოფითი გავლენის გათვალისწინებით, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება პატიმარს უფლებას უნდა აძლევდეს გაასაჩივროს ორივე, როგორც დაკავების ფორმა, ასევე, შინაარსი და შესაბამისად, დაკავების საფუძველი, ისეთი, როგორცაა სასამართლოს ღონისძიება.<sup>99</sup> აპელანტს სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება აქვს ასეთი სანქციის წინააღმდეგ, სანამ იგი აღსრულებულა ან

<sup>93</sup> იხილეთ გადაწყვეტილებები, of *Torreggiani and Others v. Italy*, 55-ე პარაგრაფი; *Cenbauer v. Croatia* (განჩინება) საჩ. ნომ. 73786/01, 2004 წლის 5 თებერვალი; *Norbert Sikorski v. Poland*, საჩ. ნომ. 17599/05, 116-ე პარაგრაფი, 2009 წლის 22 ოქტომბერი; *Mandić and Jović v. Slovenia*, 116-ე პარაგრაფი.

<sup>94</sup> იხილეთ, *Parascineti v. Romania*, საჩ. ნომ. 32060/05, 2012 წლის 13 მარტი, 38-ე პარაგრაფი.

<sup>95</sup> იხილეთ, *Čuprakovs v. Latvia*, საჩ. ნომ. 8543/04, 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, 50-ე პარაგრაფი; *Kadikis v. Latvia*, საჩ. ნომ. 62393/00, 2006 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება, 62-ე პარაგრაფი; *Goginashvili v. Georgia*, საჩ. ნომ. 47729/08, 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 49-ე პარაგრაფი.

<sup>96</sup> იხილეთ, *Čuprakovs v. Latvia*, 53-55 პარაგრაფები.

<sup>97</sup> იხილეთ გადაწყვეტილებები *Torreggiani and Others v. Italy*, op. cit., 51-ე პარაგრაფი, და *Norbert Sikorski v. Poland*, საჩ. ნომ. 17599/05, 2009 წლის 22 ოქტომბერი, 111-ე პარაგრაფი.

<sup>98</sup> იხილეთ ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება *Ananyev and Others v. Russia*, 215-216 პარაგრაფები.

<sup>99</sup> იხილეთ, *Payet v. France*, საჩ. ნომ. 19606/08, 2011 წლის 20 იანვარი, 133-ე პარაგრაფი.

დასრულებულა<sup>100</sup> და შესაბამისად, სამართლებრივი დაცვის საშუალებას უნდა ჰქონდეს ისეთი მინიმალური გარანტიები, როგორცაა სისწრაფე.<sup>101</sup>

### კარგი პრაქტიკის მაგალითები

საბერძნეთში, სასჯელადსრულების კანონი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა სხვადასხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რაც დაკავებულს უფლებას აძლევდა მის პირად მდგომარეობასთან დაკავშირებით სასამართლოში საჩივარი შეეტანა,<sup>102</sup> სახელდობრ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სავარაუდო გაუარესების თაობაზე, რაც განპირობებული იყო სამედიცინო დახმარების ნაკლებობით.<sup>103</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 572-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის აღსრულებასა და უსაფრთხოების ზომების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პროკურორისათვის მიმართვას, რომელსაც კვირაში ერთხელ ციხის ვიზიტი მოეთხოვება. გარდა ამისა, სასჯელადსრულების კოდექსის მე-6 და 86-ე მუხლები აღიარებენ მომჩივნის უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, საჩივარი შეიტანოს სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელ სასამართლოში. მიუხედავად ამისა, სასამართლო აცხადებდა, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება ვერ იქნება გამოყენებული იმ მომჩივნების მიმართ, სადაც ისინი ჩივიან არა მხოლოდ მათ პირად მდგომარეობაზე, არამედ აგრეთვე მიუთითებენ, რომ ციხეში არსებული პირობები მათ პირადად შეეხოთ, რაც ზოგადი ხასიათის პრობლემაა და ყველა დაკავებულზე ახდენს ზეგავლენას.<sup>104</sup>

საფრანგეთში სამართლებრივი დაცვის საშუალებები შესაძლებლობას იძლევა, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც მომჩივანთა კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებზე ახდენს ზეგავლენას, გასაჩივრდეს (როგორცაა, დაკავებულთა განმეორებითი ჩხრეკა, რამდენჯერმე გადაყვანა, ერთადგილიან საკანში მოთავსება). სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტურობა დამოკიდებულია ასეთი გადაწყვეტილების, გადაუდებელი პროცედურის მეშვეობით, ზედამხედველი

<sup>100</sup> იხილეთ, *Keenan v. the United Kingdom*, საჩ. ნომ. 27229/95, 2001 წლის 3 აპრილი, 127-ე პარაგრაფი.

<sup>101</sup> იხილეთ, მაგალითად, *Plathey v. France*, საჩ. ნომ. 48337/09 და 48337/09, 2011 წლის 10 ნოემბერი,

75-76 პარაგრაფები, საქმე, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები მოსამართლის ჩარევის უფლებას არ გაცემდნენ, სანამ საქცია ძალაში არ შევიდოდა.

<sup>102</sup> იხილეთ, *Mathloom v. Greece*, საჩ. ნომ. 48883/07, 2012 წლის 24 აპრილი, 48-50 პარაგრაფები; *Tsivis v. Greece*, საჩ. ნომ. 11553/05, 2007 წლის 6 დეკემბერი, მე-19 პარაგრაფი.

<sup>103</sup> იხილეთ, *Nieciecki v. Greece*, საჩ. ნომ. 11677/11, 2012 წლის 4 დეკემბერი, 37-40 პარაგრაფები.

<sup>104</sup> იხილეთ, *Nisiotis v. Greece*, საჩ. ნომ. 34704/08, 2011 წლის 10 თებერვალი, 29-ე პარაგრაფი; *Samaras and Others v. Greece*, საჩ. ნომ. 11463/09, 2012 წლის 28 თებერვალი, 48-ე პარაგრაფი; *Mathloom v. Greece*, 49-ე პარაგრაფი; *Nieciecki v. Greece*, 41-ე პარაგრაფი.

ადმინისტრაციული სასამართლოებისათვის გადაცემაზე, რასაც, სადაც საჭიროა, გადაწყვეტილების გაუქმება მოჰყვება.<sup>105</sup>

რუმინეთში, 2003 წლიდან, მთავრობის საგანგებო N. 56-ე განკარგულებით, წარადგინეს საჩივარი სასამართლოების წინაშე, ციხის ავტორიტეტების ნებისმიერი ქმედების წინააღმდეგ. განკარგულება შემდგომში ჩაანაცვლა N. 275/2006-მა კანონმა, რომელმაც მომჩივნის გასაჩივრების არეალი გააფართოვა. მომჩივნებს შეეძლოთ გაესაჩივრებინათ ადეკვატური მოვლის ან საკვების მიწოდებასთან, მკურნალობასთან, მიმოწერის ან სხვა უფლებებთან დაკავშირებული ხარვეზები. სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივარი წარმოადგენდა ეფექტიან შიდა სახელმწიფოებრივ სამართლებრივ დაცვის საშუალებას.<sup>106</sup> მოცემული სამართლებრივი დაცვის საშუალება მიჩნეული იყო ეფექტიანად იმდენად, რამდენადაც, განკარგულების ძალაში შესვლის დღეს, სასამართლოს წინაშე განცხადება განსახილველად უკვე წარდგენილი იყო.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ბრალდებების სიმძიმე (სამედიცინო დახმარების ნაკლებობა და მიმოწერის უფლებაში ჩარევა) ისეთი ბუნების იყო, რომ ისინი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებდნენ. უფრო მეტიც, სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალება განსაკუთრებით იყო გამიზნული მსგავსი საჩივრებისათვის პირდაპირი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, ასევე, ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში მის მიღებამდე არსებული სტრუქტურული პრობლემის აღმოსაფხვრელად. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოების წინაშე ახლად წარმოდგენილი პროცედურების მეშვეობით, საჩივრის წარდგენა მომჩივნის ინტერესის სფეროში იყო, რათა შიდა ხელისუფლებისთვის შესაძლებლობა მიეცა სიტუაცია რაც შეიძლება სწრაფად გამოესწორებინა.<sup>107</sup> სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაკავების ზოგადი პირობებისათვის, კერძოდ, სავარაუდო გადატვირთულობისათვის, დაკავებულები ვერ მოითხოვენ რაიმე სამართლებრივი დაცვის საშუალებისადმი მიმართვას.<sup>108</sup>

სერბეთში, საპატიმროში ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საჩივრებზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანმა სრულებით უნდა ამოწუროს ადმინისტრაციული მექანიზმი და ამის შემდეგ მიმართოს სასამართლო განხილვის

<sup>105</sup> იხილეთ, *Khider v. France*, საჩ. ნომ. 39364/05, 2009 წლის 9 ივლისი, 140-ე პარაგრაფი; *Alboreo v. France*, საჩ. ნომ. 51019/08, 2011 წლის 20 იანვარი, 185-ე პარაგრაფი; *Payet v. France*, საჩ. ნომ. 19606/08, 122-ე პარაგრაფი; *El Shennawy v. France*, საჩ. ნომ. 51246/08, 2011 წლის 20 იანვარი, 57-ე პარაგრაფი.

<sup>106</sup> იხილეთ, *Dobri v. Romania*, საჩ. ნომ. 25153/04, 2012 წლის 14 დეკემბერი.

<sup>107</sup> იხილეთ, *Petrea v. Romania*, საჩ. ნომ. 4792/03, 2008 წლის 29 აპრილი, 35-ე პარაგრაფი, *Zarafim v. Romania*, საჩ. ნომ. 24082/03, 2012 წლის 13 მარტის განჩინება, 35-ე პარაგრაფი.

<sup>108</sup> იხილეთ, *Petrea v. Romania*, 37-ე პარაგრაფი, *Măciucă v. Romania*, საჩ. ნომ. 25763/03, 2009 წლის 26 მაისი, მე-19 პარაგრაფი, *Brandușe v. Romania*, საჩ. ნომ. 6586/03, 2009 წლის 7 აპრილი, მე-40 პარაგრაფი, *Marian Stoicescu v. Romania*, საჩ. ნომ/ 12934/02, 2009 წლის 16 ივლისი, მე-19 პარაგრაფი, *Leontiu v. Romania*, საჩ. ნომ. 44302/10, 2012 წლის 4 დეკემბერი, 47-ე პარაგრაფი.

პროცედურას, რაც სისხლისსამართლებრივი სანქციების აღსრულების შესახებ 2005 წლის კანონით და 2009 წლის ადმინისტრაციული დაცვის შესახებ კანონით არის გათვალისწინებული. სასამართლომ, ასევე, ხაზი გაუსვა კომპეტენტურ შიდა სასამართლოებში არსებულ შესაბამის პრაქტიკას. დამატებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ 2008 წლის 7 აგვისტოდან სერბეთის წინააღმდეგ წარდგენილ საჩივრებთან, მათ შორის, საპატიმროში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საჩივრებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო საჩივარი, პრინციპში, განხილული უნდა იყოს, როგორც ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება.<sup>109</sup>

ii. სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც დაკავშირებულია კომპენსაციის მიღებასთან

ყველას, ვისაც დაპატიმრების დროს დაერღვა ღირსება, უნდა ჰქონდეს უფლება, რომ მოიპოვოს კომპენსაცია.<sup>110</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, უბრალო ზიანი არ წარმოშობს სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლებას იმ საქმეებზე, სადაც მომჩივანი კვლავ ციხეშია, იმის გათვალისწინებით, რომ კომპენსაცია მისი დაკავების პირობებს ვერ შეცვლის.<sup>111</sup> იმისათვის, რომ კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებული საჩივარი, კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, მიჩნეული იყოს ეფექტურად, მას უნდა ჰქონდეს როგორც წარმატების გონივრული პერსპექტივა, ასევე, უნდა შეეძლოს ადეკვატური ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.<sup>112</sup>

პრეცედენტული სამართალით, რომელიც სასამართლოს უფლებამოსილებით აღჭურავს გასცეს ფულადი კომპენსაციის გადახდის თაობაზე ბრძანება, უნდა იყოს დადგენილი თანმიმდევრული პრაქტიკა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეფექტიანი სამართლებრივი საშუალება.<sup>113</sup>

სასამართლოს მხრიდან გადაჭარბებულ ფორმალობას შეიძლება სახელმწიფოს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის წარდგენის უფლების ჩამორთმევის ეფექტი ჰქონდეს. იმ ფაქტმა, რომ ეროვნული სასამართლოები არამატერიალური ზიანის დასადასტურებლად ფორმალურ მტკიცებულებას მოითხოვენ, სამართლებრივი დაცვის საშუალება შეიძლება არაეფექტურად აქციოს.<sup>114</sup>

<sup>109</sup> იხილეთ, *Nasković v. Serbia*, საჩ. ნომ. 15914/11, 2011 წლის 14 ივნისის განჩინება, 61-ე პარაგრაფი.

<sup>110</sup> იხილეთ ზემოთ ხსენებული საქმე *Torreggiani and Others v. Italy*, 96-ე გადაწყვეტილება.

<sup>111</sup> იხილეთ, 36-ე პარაგრაფი, და კერძოდ, *Iliev and Others v. Bulgaria*, საჩ. ნომ. 4473/02 და 34138/04, 2011 წლის 10 თებერვალი, 55-56 პარაგრაფები.

<sup>112</sup> იხილეთ ზემოთ ხსენებული საქმე *Ananyev and Others v. Russia*, 118-ე პარაგრაფი.

<sup>113</sup> იხილეთ ზემოთ ხსენებული საქმე *Torreggiani and Others v. Italy*, 97-ე პარაგრაფი.

<sup>114</sup> იხილეთ საქმეები *Radkov v. Bulgaria*, საჩ. ნომ. 18382/05, 2011 წლის 10 თებერვალი და *Iovchev v.*

*Bulgaria*, საჩ.ნომ, 41211/98, 2006 წლის 2 თებერვალი; აგრეთვე, *Georgiev v. Bulgaria*, საჩ. ნომ. 27241/02,

2010 წლის 18 მაისის განჩინება, სადაც სასამართლომ აღიარა, რომ კანონი, რომელიც ზიანის კომპენსაციას ითვალისწინებდა ხარვეზიანი იყო, შესაბამისად, სამართლებრივი დაცვის საშუალება არაეფექტიანად შეიძლება იქნეს მიჩნეული.



კომპენსაციის თაობაზე სამართალწარმოებაში, მომჩივნებს ზედმეტი მტკიცების ტვირთი არ უნდა დაეკისროთ. მათ შეიძლება თხოვონ ადვილად ხელმისაწვდომი მტკიცებულების წარმოდგენა, როგორცაა დაკავების პირობების დეტალური აღწერილობა, მოწმეთა ჩვენებები და ზედამხედველობის ორგანოების პასუხები. ხელისუფლება შემდეგ შეისწავლის სავარაუდო არასათანადო მოპყრობას. მსგავსი საჩივრის შესწავლის პროცედურული წესი უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში არსებულ სამართლიანობის პრინციპს. სამართალწარმოების ხარჯებმა, როდესაც მოთხოვნა გამართლებულია, მომჩივანს არ უნდა დააკისროს გადაჭარბებული ტვირთი.<sup>115</sup> მაშინაც, როდესაც სამართლებრივი დაცვის საშუალება ხელს უწყობს ზიანის ანაზღაურებას, შესაძლოა, არ არსებობდეს წარმატების გონივრული შანსები, განსაკუთრებით როდესაც ანაზღაურება დამოკიდებულია ხელისუფლების მხრიდან ბრალის არსებობის დადგენაზე.<sup>116</sup> ანალოგიურად, სამართლებრივი დაცვის საშუალება შეიძლება არაეფექტიანი იყოს იმ საქმეებში, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა შეძლო დაესაბუთებინა დაკავების პირობების მისაღებ სტანდარტებთან შეუსაბამობა, სასამართლომ სახელმწიფო ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა, განაცხადა რა, რომ დაკავების პირობები განპირობებული იყო არა ხელისუფლებიდან გამომდინარე ხარვეზებით, არამედ სტრუქტურული პრობლემებით, როგორცაა ციხის გადატვირთულობა ან ციხის სისტემისათვის არასაკმარისი რესურსები.<sup>117</sup> ვერც ხელისუფლება დაეყრდნობა პატიმრის დამცირების ან დაკნინების პოზიტიური განზრახვის არარსებობას, იმ საფუძველით, რომ გარემოებები მათ ვალდებულებისაგან ათავისუფლებენ.<sup>118</sup>

არამატერიალური ზიანისათვის კომპენსაცია, პრინციპში, აუცილებლად უნდა იყოს ერთ-ერთი ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალება.<sup>119</sup> კომპენსაციის ოდენობა შესაბამისი უნდა იყოს სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებზე მიკუთვნებული ზიანის ანაზღაურების ოდენობისა, რადგან უფრო დაბალი კომპენსაცია სამართლებრივი დაცვის საშუალებას არაეფექტიანად გადააქცევს.<sup>120</sup>

<sup>115</sup> იხილეთ ზემოთ ხსენებული საქმე *Ananyev and Others v. Russia*, 228-ე პარაგრაფი.

<sup>116</sup> იხილეთ ზემოთ ხსენებული საქმე *Ananyev and Others v. Russia*, 113-ე პარაგრაფი; *Roman Karasev v. Russia*, საჩ. ნომ. 30251/03, 81-85 პარაგრაფები; *Shilbergs v. Russia*, საჩ. ნომ. 20075/03, 2009 წლის 17 დეკემბერი, 71-79 პარაგრაფები.

<sup>117</sup> იხილეთ, *Skorobogatykh v. Russia*, საჩ. ნომ. 4871/03, 2009 წლის 22 დეკემბერი, 17-18 და 31-32 პარაგრაფები; *Artyomov v. Russia*, საჩ. ნომ. 14146/02, 2010 წლის 27 მაისი, 16-18 და 111-112 პარაგრაფები.

<sup>118</sup> იხილეთ საქმეები *Ananyev and Others v. Russia*, 117 -ე პარაგრაფი; *Mamedova v. Russia*, 63-ე პარაგრაფი.

<sup>119</sup> იხილეთ *McGlinchey and Others v. the United Kingdom*, საჩ. ნომ. 50390/99, 2003 წლის 29 აპრილი, 62-ე პარაგრაფი; *Poghosyan and Baghdasaryan v. Armenia*, საჩ. ნომ. 22999/06, 2012 წლის 12 ივნისი, 47-ე პარაგრაფი; *Stanev v. Bulgaria*, 218-ე პარაგრაფი.

<sup>120</sup> იხილეთ ზემოთ ხსენებული საქმეები *Shilbergs v. Russia*, სადაც სასამართლომ სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის ხარისხთან და მათი ფინანსური რესურსების ნაკლებობასთან მიმართებით კომპენსაციის ოდენობა გამოითვალა.

სასამართლომ დაადგინა, რომ თუ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევისათვის სასჯელის შემცირება შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც კომპენსაცია, სასამართლომ დარღვევა უნდა დაადგინოს საკმარისად ნათლად და, სასჯელის შემცირებით, იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოთვლა, პირს მიაკუთვნოს კომპენსაცია.<sup>121</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, სასჯელის შემცირებას არ ექნებოდა იმგვარი ეფექტი, რომ პირი გათავისუფლებულიყო დარღვევის მსხვერპლის სტატუსისაგან.<sup>122</sup> სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მართალია, სასჯელის ავტომატური შემცირება დაკავების არაადამიანური პირობების გამო შეიძლება მიჩნეული იყოს, როგორც მისაღები ზოგადი ღონისძიებების ფართო ნაწილი, თუმცა მხოლოდ ის ვერ უზრუნველყოფს არასაკმარისი სამართლებრივი საშუალებების თაობაზე არსებული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას და ციხის გადატვირთულობის ჭეშმარიტი მიზეზების აღმოფხვრას.<sup>123</sup>

### კარგი პრაქტიკის მაგალითები

პოლონეთში ციხის გადატვირთულობის საკითხი, მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი გახდა.<sup>124</sup> 2007 წელს, პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ პირველად ცნო პატიმრის უფლება, დაკავების ზოგადი პირობების და ციხის გადატვირთულობით გამოწვეული მისი ფუნდამენტალური უფლების დარღვევის კომპენსაციის უზრუნველსაყოფად, სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, სახელმწიფოს წინააღმდეგ სამართალწარმოება დაეწყო. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული პრინციპი 2010 წელს განამტკიცა და დაადგინა დამატებითი სახელმძღვანელო წინადადები, სასამართლომ თუ როგორ უნდა შეამოწმოს და შეაფასოს საკანში მინიმალური ფართის შეზღუდვის გამართლება. სტრასბურგის სასამართლომ, შესაბამისად, მიიჩნია, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც კომპენსაციის მინიჭების უფლებას წარმოშობდა, ეფექტიანი იყო.<sup>125</sup> სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ საფრანგეთის სამართლებრივი დაცვის საშუალება იყო ხელმისაწვდომი და ადეკვატური, პრეცედენტული სამართლის განვითარების გათვალისწინებით, ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა აღიარეს, რომ პატიმრის არასათანადო პირობებში ყოფნა გარანტირებული უფლებების უპატივცემულობა იყო და რომ კომპენსაციის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა.<sup>126</sup>

<sup>121</sup> იხილეთ *Ananyev and Others v. Russia*, 225-ე პარაგრაფი.

<sup>122</sup> იხილეთ, *Dzelili v. Germany*, საჩ. ნომ. 65745/01, 2005 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, 85-ე პარაგრაფი.

<sup>123</sup> იხილეთ *Ananyev and Others v. Russia*, 226-ე პარაგრაფი.

<sup>124</sup> იხილეთ საქმეები *Latak v. Poland* და *Lominski v. Poland*, საჩ. ნომ. 52070/08 და 33502/

09, 2010 წლის 12 ოქტომბრის განჩინებები; სასამართლოს მიერ მიღებული პილოტური გადაწყვეტილებები საქმეებზე *Orchowski v. Poland* და *Norbert Sikorski v. Poland*, ნომ. 17885/04 და 17559/05,

2009 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებები.

<sup>125</sup> იხილეთ, *Latak v. Poland*, მე-80 პარაგრაფი.

<sup>126</sup> იხილეთ *Rhazali and Others v. France*, საჩ. ნომ. 37568/09, 2012 წლის 10 აპრილის განჩინება; *Theron v. France*, საჩ. ნომ. 21706/10, 2013 წლის 2 აპრილი; *Lienhardt v. France*, საჩ. ნომ. 12139/10,

*B. გამოძიება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევების კონტექსტში*

კონვენცია მიზნად ისახავს პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებების უზრუნველყოფას.<sup>127</sup> ამ თვალსაზრისით, კონვენციის 1 მუხლის თანახმად სახელმწიფოზე დაკისრებულ ვალდებულებასთან ერთად, „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები“, მე-2 და მე-3 მუხლი პროცედურულ მოთხოვნებსაც მოიცავს. საკმარისი არ არის, რომ ხელისუფლებამ თავი შეიკავოს კონვენციის დებულებების დარღვევისაგან, როდესაც არსებობს ბრალდება მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის თაობაზე, მათ უნდა აწარმოონ ეფექტიანი გამოძიება, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები.<sup>128</sup>

მსგავსი გამოძიების მიზანი სიცოცხლის დაცვასთან დაკავშირებული შიდა კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენების განმტკიცებაა; ასევე, იმ საქმეებში, სადაც თანამდებობის პირების და ხელისუფლების ორგანოები არიან ჩართულნი, მათი პასუხისმგებლობის პერიოდში მომხდარ სიკვდილზე ან მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოქმედებაზე, მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა.<sup>129</sup>

მე-2 მუხლიდან გამომდინარე საპროცესო ვალდებულება მოითხოვს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როგორც კი საკითხი მათი ყურადღების ქვეშ მოექცევა „საკუთარი ინიციატივით იმოქმედონ; მათ აღნიშნული საკითხი პირის ნათესავების ინიციატივის ანაზარა არ უნდა დატოვონ, რათა მათ წარადგინონ ფორმალური საჩივარი ან ნებისმიერი საგამოძიებო პროცედურის წარმართვის თაობაზე პასუხისმგებლობა აიღონ.<sup>130</sup> რაც შეეხება მე-3 მუხლს, საპროცესო ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როდესაც აკრძალული მოპყრობის არსებობის ბრალდება „სადავოა.“<sup>131</sup>

ეს ვალდებულება წარმოიშობა, როდესაც სადავო ფაქტებზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირის მიერ ჯარისათვის დახმარების მიუწოდებლობა, დაკავება,<sup>132</sup> წესრიგის

2011 წლის 13 სექტემბრის განჩინება.

<sup>127</sup> ეს პრინციპი განმტკიცდა *Airey v. Ireland* გადაწყვეტილების შემდეგ, საჩ. ნომ. 6289/73, 1979 წლის 9 ოქტომბერი, 24-ე პარაგრაფი.

<sup>128</sup> იხილეთ, *McCann and Others v. the United Kingdom*,

საჩ. ნომ. 18984/91, 1995 წლის 27 სექტემბერი. უფრო ახალი, იხილეთ, *Mosendz v. Ukraine*,

საჩ. ნომ. 52013/08, 2013 წლის 17 იანვარი, 94-ე პარაგრაფი, მე-2 მუხლის გამოძიების ვალდებულების კონტექსტში; იხილეთ, *Virabyan v. Armenia*, საჩ. ნომ. 40094/05, 2012 წლის 2 ოქტომბერი, 161-ე პარაგრაფი, მე-3 მუხლის გამოძიების ვალდებულების კონტექსტში

<sup>129</sup> იხილეთ, *Al-Skeini and Others v. the United Kingdom*, საჩ. ნომ. 55721/07, 2011 წლის 7 ივლისი, 163-ე პარაგრაფი.

<sup>130</sup> იხილეთ, *Al-Skeini and Others v. the United Kingdom*, 165-ე პარაგრაფი; *Nihayet Arici and Others v. Turkey*, საჩ. ნომ. 24604/04 და 16855/05, 2012 წლის 23 ოქტომბერი, 159-ე პარაგრაფი.

<sup>131</sup> იხილეთ, *Chiriță v. Romania*, საჩ. ნომ. 37147/02, 2007 წლის 6 სექტემბრის განჩინება.

<sup>132</sup> იხილეთ, მაგალითად, *Carabulea v. Romania*, საჩ. ნომ. 45661/99, 2010 წლის 13 ივლისი.

შესანარჩუნებლად განხორციელებული ოპერაციები<sup>133</sup> ან შეიარაღებული კონფლიქტები.<sup>134</sup> იგი ასევე გამოიყენება, როდესაც „სახელმწიფო თანამდებობის პირების ან ორგანოების გულგრილობა ცდება გადაწყვეტილების მიღებისას შეცდომის დაშვებას ან დაუდევრობას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ აღნიშნულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც სრულად აცნობიერებდნენ სავარაუდო შედეგებს, მათზე დაკისრებული ძალაუფლების უგულვებელყოფით, დაზარალებულების სიცოცხლის რისკის თავიდან ასაცილებლად, ვერ უზრუნველყვეს აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებების გატარება.<sup>135</sup> საპროცესო ვალდებულება, ასევე, წარმოიშობა, როდესაც სადავო ფაქტებზე პასუხისმგებლობა კერძო პირებს ეკისრებათ, მაგალითად, ოჯახური ძალადობის<sup>136</sup> ან სამედიცინო შეცდომების<sup>137</sup> კონტექსტში; სასამართლომ დაადასტურა, რომ მე-2 და მე-3 მუხლი კერძო პირთა ურთიერთობებზეც ვრცელდება.<sup>138</sup>

იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტური იყოს რამდენიმე მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. პასუხისმგებელი პირები დამოუკიდებელი უნდა იყვნენ იმ პირებისგან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ მოვლენებში; ეს გულისხმობს არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირის არარსებობას, არამედ, აგრეთვე, დამოუკიდებლობას პრაქტიკული თვალსაზრისით.<sup>139</sup> გამოძიება უნდა იყოს სწრაფი და ყოველმხრივი, ხელისუფლება ყოველთვის უნდა ეცადოს, გამოარკვიოს თუ რა მოხდა და, გამოძიების დასრულების ან მათი გადაწყვეტილების დასაბუთების მიზნით, არ უნდა დაეყრდნოს ნაჩქარევ ან დაუსაბუთებელ დასკვნებს.<sup>140</sup> ხელისუფლებამ უნდა გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულება, მათ შორის, *inter alia* თვითმხილვევის ჩვენება და ან სასამართლო ექსპერტის მტკიცებულება, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის

<sup>133</sup> იხილეთ, მაგალითად, *Association “21 December 1989” and Others v. Romania*, საჩ. ნომ. 33810/07, 2011 წლის 24 მაისი; *Giuliani and Gaggio v. Italy*, საჩ. ნომ. 23458/02, წლის 24 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილება.

<sup>134</sup> იხილეთ, მაგალითად, *Isayeva v. Russia*, App. No. 57950/00, 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, 180 და 210 პარაგრაფები; *Al-Skeini and Others v. the United Kingdom*, 164-ე პარაგრაფი.

<sup>135</sup> იხილეთ, *Jasinskis v. Latvia*, App. No. 45744/08, 2010 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, 73-ე პარაგრაფი; საქმე შეეხება საპატიმროში მყოფი პირის გარდაცვალებას, რომელიც ყრუ-მუნჯი გახლდათ და რომელსაც პოლიციის ოფიცრებმა ჩამოართვეს კომუნიკაციის ყველა საშუალება და უარი უთხრეს სამედიცინო დახმარებაზე.

<sup>136</sup> იხილეთ, მაგალითად, *C.A.S. and C.S. v. Romania*, საჩ. ნომ. 26692/05, 2012 წლის 20 მარტი, ეხება კერძო პირის მიერ ბავშვის მიმართ ჩადენილი სექსუალურ ძალადობის ბრალდებას.

<sup>137</sup> იხილეთ, *Silih v. Croatia*, 2009 წლის 9 აპრილის დიდი პალატის გადაწყვეტილება, 154-ე პარაგრაფი, ეხება მორიგე ექიმის მიერ დანიშნულ წამალზე ალერგიული რეაქციის მიცემის შედეგად პირის სავადმყოფოში გარდაცვალებას.

<sup>138</sup> იხილეთ, მაგალითად, *Osman v. the United Kingdom*, 1998 წლის 28 ოქტომბრის დიდი პალატის გადაწყვეტილება, საქმე, სადაც მასწავლებელმა მოსწავლის მამა მოკლა.

<sup>139</sup> იხილეთ, *Anca Mocanu and Others v. Romania*, საჩ. ნომ. 10865/09, 45886/07 და 32431/08, 2012 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, 221-ე გადაწყვეტილება; *Jasinskis v. Latvia*, 74-81 პარაგრაფები.

<sup>140</sup> იხილეთ, *El-Masri v. “the former Yugoslav Republic of Macedonia”*, საჩ. ნომ. 39630/09, 2012 წლის 13 დეკემბერი, 183-ე პარაგრაფი; *Jasinskis v. Latvia*, 79-ე პარაგრაფი.

საფუძვლიანი გამოკვლევით.<sup>141</sup> გამოძიებამ უნდა შეძლოს დანაშაულზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და დასჯა, რაც არა შედეგიდან, არამედ საშუალებიდან გამომდინარე ვალდებულებაა.<sup>142</sup>

დაზარალებულს გამოძიებაში ეფექტიანად მონაწილეობის მიღების უფლება უნდა ჰქონდეს<sup>143</sup> ან მისი ოჯახი უნდა იყოს ჩართული პროცედურაში, იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად.<sup>144</sup> გარდა ამისა, სადაც თავდასხმა რასობრივად მოტივირებულია, გამოძიება უნდა განხორციელდეს „მიუკერძოებლად და კანონიერად, საზოგადოების მიერ რასიზმის დაგმობის დადასტურების საჭიროების გათვალისწინებით.“<sup>145</sup> საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება განახორციელოს ეფექტიანი გამოძიება მოქმედებს მაშინაც, როდესაც რთული უსაფრთხოების პირობებია, მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში.<sup>146</sup>

სასამართლომ შემდგომში მიუთითა, რომ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის კონტექსტში, „მე-13 მუხლი, სადაც საჭიროა, კომპენსაციის გადახდასთან ერთად, მოითხოვს ყოველმხრივ და ეფექტიან გამოძიებას, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები, მათ შორის გამოძიების პროცედურაში მომჩივნის ეფექტიანი ხელმისაწვდომობა.“ სასამართლო მიიჩნევს, რომ „მე-13 მუხლის მოთხოვნები უფრო ფართოა, ვიდრე, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება, აწარმოონ ეფექტიანი გამოძიება.“<sup>147</sup>

მაშინ, როდესაც გამოძიება არაეფექტიანია, აღნიშნული ექვეყნე აყენებს სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტიანობას, მათ შორის ზიანისათვის სამოქალაქო სარჩელის შეტანის შესაძლებლობას.<sup>148</sup> სასამართლო მიიჩნევს, რომ ეფექტიანი გამოძიების არარსებობისას, რომელსაც შეუძლია პასუხისმგებელი

<sup>141</sup> იხილეთ, *Timofejevi v. Latvia*, App. No. 45393/02, 2012 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, 94 და 99 პარაგრაფები, საქმე, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ დაუჯერებელი ჩანს, 10 წუთის ხანგრძლივობის სასამართლო ექსპერტიზამ, უზრუნველყოს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძვლიანი გამოკვლევა, *Vovruško v. Latvia*, საქ. ნომ. 11065/02, 2012 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, 42-49 პარაგრაფები, საქმე, სადაც სასამართლო ექსპერტი დასკვნას, ციხეში მომჩივნის გამოკვლევის გარეშე, მხოლოდ სამედიცინო ჩანაწერს აფუძნებდა.

<sup>142</sup> იხილეთ, *Savitsky v. Ukraine*, საქ. ნომ. 38773/05, 2012 წლის 26 ივლისი, 99-ე პარაგრაფი.

<sup>143</sup> იხილეთ, *El-Masri v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"*, 184-ე პარაგრაფი.

<sup>144</sup> იხილეთ, *Seidova and Others v. Bulgaria*, საქ. ნომ. 310/04, 2010 წლის 18 ნოემბერი, 52-ე პარაგრაფი.

<sup>145</sup> იხილეთ, *Menson v. the United Kingdom*, საქ. ნომ. 47916/99, 2003 წლის 6 მაისის განჩინება.

<sup>146</sup> იხილეთ, მაგალითად, *Isayeva v. Russia*, საქ. ნომ. 57950/00, 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, 180 და 210 პარაგრაფები; *Al-Skeini and Others v. the United Kingdom*, 164-ე პარაგრაფი.

<sup>147</sup> იხილეთ, მაგალითად, საეჭვო გარდაცვალებასთან დაკავშირებული საქმე, *Isayev and Others v. Russia*, საქ. ნომ. 43368/04, 2011 წლის 21 ივნისი, 186-187 პარაგრაფები; *Anguelova v. Bulgaria*, საქ. ნომ. 38361/97, 2002 წლის 13 ივნისი, 161-ე პარაგრაფი; *Mahmut Kaya v. Turkey*, საქ. ნომ. 22535/93, 2000 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება, 107-ე პარაგრაფი; და არასათანადო მოპყრობის ბრალდებასთან დაკავშირებით, იხილეთ, მაგალითად, *El-Masri v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"* ზემოთ, 255-ე პარაგრაფი; *Labita v. Italy*, საქ. ნომ. 26772/95, 2000 წლის 6 აპრილი, 131-ე პარაგრაფი.

<sup>148</sup> იხილეთ, *Isayev and Others v. Russia* ზემოთ, 189-ე პარაგრაფი.

პირების გამოვლენა და დასჯა, კომპენსაციის მოთხოვნა თეორიული და არარეალურია.<sup>149</sup> სამედიცინო გულგრილობის შემთხვევაში, სამოქალაქო სასამართლოს წინაშე საჩივრის წარდგენას, მარტო ან სისხლის სასამართლოს წინაშე წარდგენილ საჩივართან ერთად, შეუძლია, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებლობა და სადაც საჭიროა, უზრუნველყოს შესაბამისი სამოქალაქო სანქციების დაკისრება, როგორცაა ზიანის კომპენსაცია და გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება.<sup>150</sup> თუმცა, როდესაც სამედიცინო პასუხისმგებლობა დაფუძნებულია კერძო პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე, გამოძიების ეფექტიანობას სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად, სასამართლომ ხაზი გაუსვა, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისათვის, ექიმის პასუხისმგებლობასა და პროფესიით მუშაობასთან დაკავშირებული რისკის ცნებას შორის კავშირის მნიშვნელობას, პაციენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს.<sup>151</sup>

### კარგი პრაქტიკის მაგალითები

რუმინეთის სამართლებრივი სისტემა ადგენს, რომ გამოძიება უნდა ჩაატაროს სახელმწიფო ბრალმძებელმა, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს იმის თაობაზე, დაიწყოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლო დამნაშავეების წინააღმდეგ. თუ გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილება გაიცემა, სისხლის სამართლის კოდექსის 278-ე მუხლის მიხედვით, შესაძლებელია მისი სასამართლოში გასაჩივრება. სასამართლოს, შიდა კანონმდებლობის დებულებების და მტკიცებულებების, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებების და სამედიცინო ჩვენებების გათვალისწინებით, შეუძლია, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სხვა საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელების ბრძანება გასცეს. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი სამართლებრივი დაცვის საშუალება კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში ეფექტიანი იყო.<sup>152</sup> გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების თანახმად, როდესაც სიცოცხლის უფლების დარღვევა არ იყო გამიზნული, სამოქალაქო სარჩელი შეიძლება დასრულდეს მე-2 და მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევის დადგენით და განცდილი ზიანის სათანადო ანაზღაურებით.<sup>153</sup>

### C. სამართლებრივი დაცვის საშუალება გაძევების წინააღმდეგ

<sup>149</sup> იხილეთ, *El-Masri v. “the former Yugoslav Republic of Macedonia”* ზემოთ, 261-ე პარაგრაფი; *Cobzaru v. Romania*, App. No. 48254/99, 2007 წლის 26 ივლისი, 83-ე პარაგრაფი; *Carabulea v. Romania*, საჩ. ნომ. 45661/99, 2010 წლის 13 ივლისი, 166-ე პარაგრაფი; *Soare and Others v. Romania*, საჩ. ნომ. 24329/02, 2011 წლის 22 თებერვალი, 195-ე პარაგრაფი.

<sup>150</sup> იხილეთ, *Floarea Pop v. Romania*, საჩ. ნომ. 63101/00, 2010 წლის 6 აპრილი, 38-ე პარაგრაფი.

<sup>151</sup> იხილეთ, *Eugenia Lazar v. Romania*, საჩ. ნომ. 32146/05, 2010 წლის 16 თებერვალი, 90-91 პარაგრაფები.

<sup>152</sup> იხილეთ, *Ciubotaru v. Romania*, საჩ. ნომ. 33242/05, 2012 წლის 10 იანვრის განჩინება, 59-ე პარაგრაფი; *Stoica v. Romania*, საჩ. ნომ. 42722/02, 2008 წლის 4 მარტი, 105-109 პარაგრაფები; და *Chiriță v. Romania*, საჩ. ნომ. 37147/02, 2009 წლის 29 სექტემბერი, 99-ე პარაგრაფი.

<sup>153</sup> იხილეთ, *Floarea Pop v. Romania*, 47-ე პარაგრაფი; *Csiki v. Romania*, საჩ. ნომ. 11273/05, 2011 წლის 5 ივლისი.

კონვენციის მე-13 მუხლი, მე-2 და მე-3 მუხლთან ერთად, მოითხოვს, რომ პირს ჰქონდეს შემაჩერებელი სამართლებრივი დაცვის საშუალება სადავო საჩივართან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც გაძევება მას კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რისკის ქვეშ დააყენებს ან რომ არსებობს კონვენციის მე-2 მუხლით დაცული სიცოცხლის უფლების დარღვევის საფრთხე.<sup>154</sup> იგივე პრინციპი გამოიყენება კონვენციის დამატებითი ოქმის მე-4 მუხლთან დაკავშირებულ საჩივრებზე.<sup>155</sup>

აღნიშნულის საპირისპიროდ, შემაჩერებელი ეფექტის მქონე სამართლებრივი დაცვის საშუალება, როგორც წესი, არ მოითხოვება, როდესაც მე-13 მუხლთან კომბინაციაში კონვენციის სხვა უფლებაც არის ჩართული.

სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტიანობა, ასევე, საჭიროებს შიდა ხელისუფლების დიდ ყურადღებას.<sup>156</sup> უნდა მოხდეს იმ სარჩელის დამოუკიდებელი, დროული და მკაცრი შესწავლა, რომლის დროსაც არსებობს მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი იმის შიშისა, რომ ადგილი ექნება კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოპყრობას.<sup>157</sup> კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებზე დაფუძნებული საჩივრების განხილვა მხედველობაში არ უნდა იღებდეს არც იმ გარემოებას თუ რა ჩაიდინა პირმა რათა გამართლებული იყოს გაძევება და არც ეროვნული უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეს, რაც შეიძლება გამძევებელმა ქვეყანამ განიცადოს.<sup>158</sup>

ხელისუფლებამ, პრაქტიკაში, სამართლებრივი დაცვის საშუალება არ უნდა გახადოს უშედეგო და, შესაბამისად, მიუწვდომელი. აღნიშნულს ექნებოდა ადგილი, მაგალითად, როდესაც გაძევება განხორციელდებოდა შეუსაბამო სისწრაფით. ამრიგად, სასამართლომ, იმ საქმეებზე, სადაც მე-13 მუხლი კონვენციის მე-8 მუხლთან ერთად არის კომბინაციაში, მიიჩნია, რომ მომჩივნის გაძევების გადაწყვეტილების აღსრულება, პრაქტიკულად, ხელს უშლიდა მომჩივნის არგუმენტების განხილვას და შესაბამისად, გაძევების შეჩერების ნებისმიერ შესაძლებლობას.<sup>159</sup> ანალოგიურად, სასამართლომ მიიჩნია, რომ თავშესაფრის მიცემაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების შეტყობინებიდან ერთი სამუშაო დღის შემდეგ, მომჩივნის გაძევება, პრაქტიკულად, მას ართმევდა ნეგატიური გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საჩივარი თეორიულად იყო ხელმისაწვდომი.<sup>160</sup>

<sup>154</sup> იხილეთ, *De Souza Ribeiro v. France*, საჩ. ნომ. 22689/07, 2012 წლის 13 დეკემბრის დიდი პალატის გადაწყვეტილება, 82-ე პარაგრაფი.

<sup>155</sup> იხილეთ, *Conka v. Belgium*, საჩ. ნომ. 51564/99, 2012 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება, 81-84 პარაგრაფები.

<sup>156</sup> იხილეთ, *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, საჩ. ნომ. 36378/02, 2005 წლის 12 აპრილი, 448-ე პარაგრაფი.

<sup>157</sup> იხილეთ, *Jabari v. Turkey*, საჩ. ნომ. 40035/98, 2000 წლის 11 ივლისი, 50-ე პარაგრაფი.

<sup>158</sup> იხილეთ, *Chahal v. the United Kingdom*, საჩ. ნომ. 22414/93, 150-151 პარაგრაფები.

<sup>159</sup> იხილეთ, *De Souza Ribeiro v. France* ზემოთ, 95-ე პარაგრაფი.

<sup>160</sup> იხილეთ, *Labsi v. Slovakia*, App. No. 33809/08, 2012 წლის 15 მაისი, 139-ე პარაგრაფი.

სასამართლომ, დამატებით, ხაზი გაუსვა გასაძევებელი პირებისათვის საკმარისი ინფორმაციის მოპოვების გარანტიის მიცემის მნიშვნელობას, რაც მათ უფლებას მისცემს ჰქონდეთ იმ პროცედურების ეფექტიანი ხელმისაწვდომობა, რომლებიც შემდგომში უნდა განახორციელონ; ასევე, იმ ინფორმაციის მიწოდების გარანტიის მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის იმ ორგანიზაციების ხელმისაწვდომობას, რომლებიც იურიდიულ კონსულტაციას გასცემენ;<sup>161</sup> თუ თავშესაფრის განცხადების მომზადების პერიოდში პირი თარჯიმანით არ იქნა უზრუნველყოფილი, წარმოქმნილი სირთულეები შეიძლება გამძაფრდეს ენის არ ცოდნის მხრივ.<sup>162</sup>

დაჩქარებული თავშესაფრის პროცედურებთან დაკავშირებით, სასამართლომ აღიარა, რომ მათ შეიძლება გაადვილონ აშკარად შეურაცხმყოფელი ან დაუსაბუთებელი საჩივრების განხილვა, და მიიჩნია, რომ თავშესაფრის განცხადების ხელახალი შესწავლა პრიორიტეტული პროცესის მეშვეობით, დაკავებულს არ ართმევდა უცხო ქვეყნის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებას *per se*, იმდენად, რამდენადაც თავდაპირველი განცხადება სრულად იყო განხილული თავშესაფრის პროცედურის კონტექსტში.<sup>163</sup> როდესაც თავდაპირველი განცხადების, და არა ხელახალი განხილვის, მიმართ გამოიყენება პრიორიტეტული პროცესი, აღნიშნულმა შეიძლება განაპირობოს განხორციელებული სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტიანობის შეუსაბამობა. რამდენიმე გარემოებების კომბინაციამ<sup>164</sup> შეიძლება, მსგავსი სამართლებრივი დაცვის საშუალების პრაქტიკაში ხელმისაწვდომობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, მაშინაც კი, თუ ისინი თეორიულად ხელმისაწვდომია.

## კარგი პრაქტიკის მაგალითები

საფრანგეთის სასამართლომ აღიარა ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე არსებული იმ სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტურობა, რომელიც მიმართული იყო გაძევების წინააღმდეგ და მიიჩნია, რომ აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალება სრულად უნდა იქნეს ამოწურული.<sup>165</sup>

შვეიცარიაში, ყველა თავშესაფრის მაძიებელს შეუძლია დარჩეს ქვეყანაში, სანამ მიგრაციის ფედერალური სამსახური არ დაასრულებს საქმის წარმოებას. აღნიშნული სამსახურის გადაწყვეტილება შემდგომში ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე შეიძლება გასაჩივრდეს. გასაჩივრებას, პრინციპში, როგორც

<sup>161</sup> იხილეთ, *Hirsi Jamaa and Others v. Italy*, საჩ. ნომ. 27765/09, 2012 წლის 23 თებერვალი, 204-ე პარაგრაფი; *M.S.S. v. Belgium and Greece*, საჩ. ნომ. 30696/09, 2011 წლის 21 იანვარი, 304-309 პარაგრაფები.

<sup>162</sup> იხილეთ, *I.M. v. France*, საჩ. ნომ. 9152/09, 2012 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, 145-ე პარაგრაფი.

<sup>163</sup> იხილეთ, *Sultani v. France*, საჩ. ნომ. 45223/05, 2007 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, 64-65 პარაგრაფები.

<sup>164</sup> იხილეთ, *I.M. v. France*, 142-ე პარაგრაფი.

<sup>165</sup> იხილეთ, *H.R. v. France*, საჩ. ნომ. 647809/09, წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება, 79-ე გადაწყვეტილება; *R.N. v. France*, საჩ. ნომ. 49501/09, 2011 წლის 27 ნოემბრის განჩინება; *Mi. L. v. France*, საჩ. ნომ. 23473/11, 2012 წლის 11 სექტემბრის განჩინება, 34-ე პარაგრაფი.



სამართლებრივი დაცვის საშუალებას, აქვს შემაჩერებელი ეფექტი: ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოს შეუძლია აღადგინოს შემაჩერებელი ეფექტი და იგი არ არის შეზღუდული მიგრაციის ფედერალური სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.<sup>166</sup>

შვედეთში, უცხოელების მიერ ქვეყანაში შემოსვლისა და დარჩენის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს სამი ინსტანცია: მიგრაციის საბჭო, მიგრაციის სასამართლო და მიგრაციის სააპელაციო სასამართლო. მომჩივნებს უფლება აქვთ მოცემული ორგანოების წინაშე მიგრაციის საბჭოს მიერ დანიშნული ადვოკატის მიერ იყვნენ წარმოდგენილნი. მთელ ამ პროცესს აქვს შემაჩერებელი ეფექტი. საჩივრის შეტანის შემდეგ, მიგრაციის სააპელაციო სასამართლო პირველ რიგში გადაწყვეტილებას იღებს განიხილოს თუ არა საჩივარი, ე.ი. არსებობს თუ არა განსაკუთრებული მიზეზი საქმის განხილვისა ან მიგრაციის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება იყოს თუ არა პრეცედენტული მნიშვნელობის. თუ საჩივრის განხილვის უფლება გაიცემა, მიგრაციის სააპელაციო სასამართლო საქმეს არსებითად განიხილავს, მას აქვს სრული იურისდიქცია განიხილოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და საქმის არსებითი გარემოებები. სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი წარმოადგენს ეფექტიან სამართლებრივი დაცვის საშუალებას.<sup>167</sup> ამასთანავე, მიგრაციის საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს საქმის ხელახლა შესწავლა, თუ ახალ გარემოებებზე დაყრდნობით, საქმეში ჩანს, რომ გაძევების ან დეპორტაციის ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებით დაბრკოლებები არსებობს, და ეს გარემოებები არ შეიძლება მანამდე ყოფილიყო მითითებული ან უცხოელი დაამტკიცებს, რომ მას აქვს საპატიო მიზეზი, რის გამოც იგი ვერ წარმოადგინა. ხელახლა განხილვის პროცედურა ყოველსმომცველი და შეჩერების ძალის მქონეა. სასამართლომ, აგრეთვე, ჩათვალა, რომ იგი ეფექტურ სამართლებრივი დაცვის საშუალებას წარმოადგენდა.<sup>168</sup>

#### *D. შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულებლობისათვის არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები*

კონვენციის მე-6 მუხლით დაცული სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის ეფექტიანი უფლება მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილების ყოველგვარი დაყოვნების გარეშე აღსრულების უფლებას. მაშასადამე, სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილების აღსრულების უმिზეზო, ხანგრძლივმა დაყოვნებამ შესაძლოა, დაარღვიოს მე-6 მუხლი. შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულების დაყოვნებამ შესაძლოა, ასევე დაარღვიოს კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება.

<sup>166</sup> იხილეთ, *Reza Sharifi v. Switzerland*, საჩ. ნომ. 69486/11, 2012 წლის 4 დეკემბრის განჩინება.

<sup>167</sup> იხილეთ, *Haji Hussein v. Sweden*, საჩ. ნომ. 18452/11, 2011 წლის 20 სექტემბრის განჩინება.

<sup>168</sup> იხილეთ, *A.I. and Others v. Sweden*, საჩ. ნომ. 25399/11, 2012 წლის 9 ოქტომბრის განჩინება.

თითოეული დაყოვნების გონივრულობა უნდა განისაზღვროს სააღსრულებო პროცედურის კომპლექსურობის, მომჩივანთა ქცევის, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების და სასამართლოს მიერ მინიჭებული სიკეთის მოცულობისა და ბუნების მხედველობაში მიღებით.<sup>169</sup>

შიდა სასამართლოთა გადაწყვეტილებების აღსრულებლობასთან დაკავშირებული დარღვევები, კერძოდ, ისინი, რომლებიც თავად სახელმწიფოს წინააღმდეგაა, არის სასამართლოს მიერ დადგენილი ყველაზე უფრო ტიპური შემთხვევა. ამგვარი დარღვევები, ხშირ შემთხვევაში, გამოწვეულია სისტემური ან სრულყოფილი პრობლემებით.<sup>170</sup> სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს, რომ მისი ორგანოების, ან ორგანიზაციების, ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ან მის მიერ კონტროლირებადი კომპანიების წინააღმდეგ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებების აღსრულება თანხვედრაში იყოს კონვენციის მოთხოვნებთან. ფულადი სახსრების არ არსებობა არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს უმოქმედობის გამამართლებელი მიზეზი. თუ გადაწყვეტილების სრული და დროული აღსრულების შემაფერხებელი და დამაბრკოლებელი ფაქტორები სახელმწიფოს კონტროლის ფარგლებშია, საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაზე სახელმწიფოა პასუხისმგებელი.<sup>171</sup>

ამგვარ სიტუაციებში, სასამართლო ასევე ადგენს კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების დარღვევას. ამ საკითხებთან დაკავშირებული პრინციპების შესახებ სასამართლოს პილოტური ან სხვა გადაწყვეტილებები, ამგვარად, ადგენენ, ფართო და იმპერატიულ მითითებებს, სამართლებრივი დაცვის საშუალებებისათვის საჭირო ძირითად მახასიათებლებზე, შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებლობისთვის. სხვა მითითებები შეიძლება, მოძიებული იქნეს გადაწყვეტილებათა აღსრულების მონიტორინგის მინისტრთა კომიტეტის კონტექსტში მომზადებულ სხვადასხვა დოკუმენტებში.<sup>172</sup> ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი მჭიდრო კავშირშია გადაჭარბებული ხანგრძლივობის სამართალწარმოებისთვის ეფექტიან სამართლებრივ დაცვის

<sup>169</sup> იხილეთ, მაგალითად, *იური ნიკოლაევიჩი ივანოვი უკრაინის წინააღმდეგ*, საჩივარი No. 40450/04, 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება („ივანოვი“), 51-53-ე პარაგრაფები.

<sup>170</sup> გადაწყვეტილებათა აღსრულების მონიტორინგის შესახებ მინისტრთა კომიტეტის რიგით მე-5 წლიური ანგარიშისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, 2011 წელს მინისტრთა კომიტეტში განიხილებოდა საქმეები ან საქმეთა ჯგუფები, რომლებიც მოიცავდნენ მნიშვნელოვან სტრუქტურულ და კომპლექსულ პრობლემებს, აზერბაიჯანში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, საბერძნეთში, იტალიაში, მოლდოვის რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციაში, სერბეთსა და უკრაინაში, შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულებლობასთან დაკავშირებით. მინისტრთა კომიტეტმა ბოლო წლებში ამგვარი პრობლემები ასევე, გამოავლინა ალბანეთში, ხორვატიაში და საქართველოში.

<sup>171</sup> იხილეთ, მაგალითად, *ივანოვი*, 54-ე პარაგრაფი.

<sup>172</sup> იხილეთ, მრგვალი მაგიდის დასკვნები თემაზე „ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებები შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებების დაცვიანებით აღსრულების აღსრულებლობის წინააღმდეგ“ (სტრასბურგი, 15-16 მარტი, 2010; doc. CM/Inf/DH(2010)15), და მრგვალი მაგიდის დასკვნები თემაზე „წევრ ქვეყნებში შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულებლობა: ზოგადი ღონისძიებები ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაში ყოფნისათვის“ (სტრასბურგი, 21-22 ივნისი 2007; doc. CM/Inf/DH(2007)33); დამატებითი მითითება მოცემულია ქვემოთ.

საშუალებებთან, რომელზეც ადრე მინისტრთა კომიტეტმა წევრ სახელმწიფოებს, წარმატებული პრაქტიკის გზამკვლევთან ერთად, რეკომენდაცია მიაწოდა.<sup>173</sup>

## I. დაჩქარებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები

სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც აღსრულებას აჩქარებს უპირატესობა ენიჭება. სასამართლომ, სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული თავისი პრეცედენტული სამართლის შედარებისას,<sup>174</sup> დაადგინა, რომ „ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი საშუალება, რომელიც დროული აღსრულების უზრუნველყოფით ახორციელებს დარღვევის პრევენციას, პრინციპში, არის უდიდესი მნიშვნელობის“.<sup>175</sup> მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ გამოტანილი შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა ან აღსრულების არაგონივრული დაგვიანება. „ტვირთი ამგვარ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, უმთავრესად აწევს სახელმწიფო ორგანოებს, რომელთაც უნდა გამოიყენონ შიდა საკანონმდებლო სისტემაში არსებული ყველა ხელმისაწვდომი საშუალება, რათა დააჩქარონ აღსრულება, და, შესაბამისად, მოახდინონ კონვენციის დარღვევის პრევენცია“.<sup>176</sup>

აღნიშნულ ორ საკითხს შორის არსებული კავშირის გათვალისწინებით, შეიძლება პარალელი იქნეს გავლებული, ერთი მხრივ გადაჭარბებული ხანგრძლივობის სამართალწარმოებისთვის, და მეორეს მხრივ, ეფექტურ სამართლებრივ საშუალებების საკითხებს შორის. ამაზე მიუთითებს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას CM/Rec(2010)3, რომლის თანახმად სახელმწიფოებმა უნდა:

<sup>173</sup> იხილეთ, CM/Rec(2010)3

<sup>174</sup> იხილეთ, მაგალითად, *სკორდინო იტალიის წინააღმდეგ* (No. 1), App. No. 36813/97, დიდი პალატის 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება, 183-ე პარაგრაფი: „საუკეთესო გამოსავალი აბსოლუტურ პირობებში, როგორც ბევრ სფეროში, უდავოდ პრევენციაა. სასამართლომ ... ბევრ შემთხვევაზე დაადგინა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი აკისრებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ვალდებულებას, მოაწყონ სისტემა იმგვარად, რომ მათ სასამართლოებს შეეძლოთ ... საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვის ვალდებულების შესრულება. სადაც ამ კუთხით სასამართლო სისტემაში არსებობს ნაკლი, სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც მიმართულია სამართალწარმოების დაჩქარებისაკენ, რათა მოახდინოს მისი ხანგრძლივად გაგრძელების პრევენცია, არის ყველაზე ეფექტიანი საშუალება. ამგვარ სამართლებრივი დაცვის საშუალებას აქვს უდავო უპირატესობა იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ კომპენსაციას, რადგან იგი ასევე ახდენს შემდგომი დარღვევის დადგენის პრევენციას იმავე სამართალწარმოებაში და უბრალოდ არ აღადგენს წინა დარღვევას, როგორც ამას საკომპენსაციო სამართლებრივი დაცვის საშუალების ის სახე უზრუნველყოფს, რომელიც, მაგალითად, იტალიურ სამართლითაა განსაზღვრული“. იხილეთ, ასევე, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)3 წევრი სახელმწიფოებისათვის გადაჭარბებული ხანგრძლივობის სამართალწარმოებისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ, წარმატებული პრაქტიკის გზამკვლევთან ერთად.

<sup>175</sup> იხილეთ, მაგალითად, *ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ* (No. 2), საჩივარი. No. 33509/04, 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება, 98-ე პარაგრაფი

<sup>176</sup> *ibid*

- გადადგან ყველა აუცილებელი ნაბიჯი რათა დარწმუნდნენ, რომ შიდა სასამართლოთა გადაწყვეტილებების აღსრულება მიმდინარეობს გონივრულ ვადებში;
- დარწმუნდნენ, რომ არსებობს მექანიზმები იმ გადაწყვეტილებათა იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც არიან დროულად აღუსრულებლობის რისკის მატარებელი, აგრეთვე სხვა მიზეზების, სამომავლოდ მე-6 მუხლის დარღვევის პრევენციის გათვალისწინებით;
- აღიარონ, რომ როდესაც შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებლობის მიზეზი არის ძირითადი სისტემური პრობლემა, აუცილებელია, რომ ზომები მიმართული იყოს ამ პრობლემისაკენ, აგრეთვე ინდივიდუალურ შემთხვევებში მათ მოქმედებაზე;
- დარწმუნდნენ, რომ არსებობს საშუალებები, რომლებიც დააჩქარებს შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას, რომელიც იწვევს რისკს, გახდეს გადაჭარბებულად ხანგრძლივი იმისთვის, რომ არ დაუშვას მისი ამგვარად ჩამოყალიბება.

მინისტრთა კომიტეტმა, რომელიც მონიტორინგს უწევს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას, გამოყო გარკვეული სპეციფიკური ასპექტები, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს, რათა მოხდეს იმ დამაჩქარებელი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტურობის უზრუნველყოფა, როგორებიცაა:

- ადეკვატური მარეგულირებელი/საკანონმდებლო სისტემების უზრუნველყოფა;<sup>177</sup>
- პოტენციური სახელმწიფო ვალდებულებების დასაფარად საკმარისი საბიუჯეტო რესურსების უზრუნველყოფა;<sup>178</sup>
- სახელმწიფოს ვალდებულების განვითარება, გადაიხადოს ვადაგადაცილების შემთხვევაში, მათ შორის, იძულებითი ღონისძიებების მეშვეობით;<sup>179</sup>
- დაადგინოს საჯარო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ეფექტიანი პასუხისმგებლობა აღსრულებლობისათვის;<sup>180</sup>
- გააძლიეროს საქმის მწარმოებლის სისტემა;<sup>181</sup>

<sup>177</sup> იხილეთ, მაგალითად, doc. CM/Inf/DH(2010)22 ბოსნია და ჰერცეგოვინას შესახებ, CM/Inf/DH(2006)19rev3 რუსეთის შესახებ, CM/Inf/DH(2010)25 , რომელიც სერბეთს ეხება, CM/Inf/DH(2007)30 დაკავშირებული უკრაინასთან.

<sup>178</sup> იხილეთ, მაგალითად, doc. CM/Inf/DH(2011)36 დაკავშირებული ალბანეთთან, CM/Inf/DH(2009)28 დაკავშირებული საქართველოსთან, CM/Inf/DH(2006)19rev3 დაკავშირებული რუსეთთან, SG/Inf/DH(2007)30 დაკავშირებული უკრაინასთან.

<sup>179</sup> იხილეთ, მაგალითად, doc. CM/Inf/DH(2006)19rev3 დაკავშირებული რუსეთთან, CM/Inf/DH(2007)30 დაკავშირებული უკრაინასთან.

<sup>180</sup> იხილეთ, მაგალითად, doc. CM/Inf/DH(2011)36 დაკავშირებული ალბანეთთან, CM/Inf/DH(2009)28 საქართველოს შესახებ, CM/Inf/DH(2006)19rev3 რუსეთის შესახებ, CM/Inf/DH(2010)25 სერბეთის შესახებ

<sup>181</sup> იხილეთ, მაგალითად, doc. CM/Inf/DH(2009)28 საქართველოს შესახებ, CM/Inf/DH(2007)30 უკრაინის შესახებ

- სადაც საჭიროა, უზრუნველყოს კონსტიტუციური სარჩელის ან სხვა სასამართლო დაცვის საშუალებების ეფექტიანობა (იხილეთ, ასევე, წინამდებარე დოკუმენტის სექცია IV).<sup>182</sup>

სხვა მითითებები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს მინისტრთა კომიტეტის სხვა რელევანტურ დოკუმენტებში, ისევე, როგორც მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის დოკუმენტებში (CEPEJ).<sup>183</sup>

## II. საკომპენსაციო სამართლებრივი დაცვის საშუალება

მიუხედავად დაჩქარებული სამართლებრივი დაცვის საშუალების უპირატესობისა, ევროპულმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია, რომ სახელმწიფოებმა აირჩიონ საკომპენსაციო სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებაც და არ მიიჩნიონ ისინი არაეფექტურად. ამგვარი სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტურობა დამოკიდებულია შემდეგი მოთხოვნების შესრულებაზე:

- კომპენსაციის თაობაზე სარჩელი განხილული უნდა იქნეს გონივრულ დროში;
- კომპენსაცია გადახდილ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ და ზოგადად, იმ თარიღიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა, როდესაც კომპენსაციის მიმნიჭებელი გადაწყვეტილება სავალდებულო ძალას იძენს;
- პროცესუალური ნორმები, რომლებიც აწესრიგებს კომპენსაციის თაობაზე სარჩელის წარდგენას, თანხვედრაში უნდა იყოს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სამართლიანობის პრინციპთან;
- სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებული ნორმები, მხარეებს, როდესაც მათი სარჩელი დაკმაყოფილდება, გადაჭარბებულ ტვირთს არ უნდა აკისრებდნენ;
- კომპენსაციის დონე არ უნდა იყოს სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებზე მიანიჭებულ კომპენსაციასთან შედარებით არაგონივრული.<sup>184</sup>

არსებობს ძლიერი, მაგრამ საკამათო პრაზუმფცია, რომ მეტისმეტად ხანგრძლივი სამართალწარმოება გამოიწვევს არამატერიალურ ზიანს. აღნიშნული

<sup>182</sup> იხილეთ, მაგალითად, doc. CM/Inf/DH(2011)36 ალბანეთის შესახებ, CM/Inf/DH(2006)19rev3 რუსეთის შესახებ, CM/Inf/DH(2010)25 სერბეთის შესახებ.

<sup>183</sup> იხილეთ, კერძოდ, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის Rec(2003)16 ადმინისტრაციული და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ ადმინისტრაციული სამართლის ჭრილში, Rec(2003)17 დაჩქარებასთან დაკავშირებით და CEPEJ -ის გზამკვლევი ევროპის საბჭოს არსებული რეკომენდაციის აღსრულების უკეთესი იმპლემენტაციის შესახებ (doc. CEPEJ(2009)11REV2).

<sup>184</sup> იხილეთ *ივანოვი 99-ე* პარაგრაფი

პრეზუმფცია განსაკუთრებით ძლიერია სახელმწიფოს მიერ მის წინააღმდეგ გამოცემული გადაწყვეტილების აღსრულების გადაჭარბებული დაგვიანების შემთხვევაში.<sup>185</sup>

მინისტრთა კომიტეტმა სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მონიტორინგისას გამოჰყო გარკვეული სპეციფიკური ასპექტები, რომელთათვის მიმართვაც შეიძლება, გახდეს საჭირო, საკომპენსაციო სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სახელდობრ, ავტომატური ინდექსაცია და ჯარიმა ვადაგადაცილებულ გადახდებზე.<sup>186</sup>

შეიძლება აღინიშნოს, რომ სასამართლო სახელმწიფოს უტოვებს შეფასების ფართო ზღვარს, რათა შიდა საკომპენსაციო სამართლებრივი დაცვის საშუალების ჩამოყალიბება „იყოს თავსებადი თავის სამართლებრივ სისტემასა და ტრადიციებთან და დაკავშირებული შესაბამისი ქვეყნის ცხოვრების დონესთან“.<sup>187</sup> ამ მხრივ, სამართალწარმოების ხანგრძლივობისათვის ეფექტიანი შიდა საკომპენსაციო სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „... ეროვნული სასამართლოებისათვის უფრო მარტივი იქნება გაითვალისწინონ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სხვა ტიპის ზიანის ასანაზღაურებლად მიკუთვნებული თანხის ოდენობა... და დაეყრდნონ მათ დასაბუთებას, თუნდაც აღნიშნულის შედეგად, მინიჭებული თანხა სასამართლოს მიერ მსგავს საქმეზე განსაზღვრული თანხის ოდენობაზე ნაკლები იყოს“.<sup>188</sup>

### წარმატებული პრაქტიკის მაგალითები

2012 წელს, სერბეთში, საკონსტიტუციო სასამართლომ, თავისი პრეცედენტული სამართალი სტრასბურგის სასამართლოსთან შეუსაბამობაში მოიყვანა, ვინაიდან მან სახელმწიფოს უბრძანა თავისი ფონდიდან გადაეხადა თანხა, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში მყოფ სოციალურ საკუთრებაში არსებულ კომპანიას სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით დაეკისრა. საბოლოოდ, სასამართლომ ამგვარ საქმეებში საკონსტიტუციო საჩივარი ეფექტიან სამართლებრივ საშუალებად მიიჩნია, რომელსაც ადრე სხვაგვარად ადგენდნენ.<sup>189</sup>

## IV. ზოგადი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები

<sup>185</sup> *Ibid*, მე-100 პარაგრაფი.

<sup>186</sup> იხილეთ, მაგალითად, doc. CM/Inf/DH(2009)28 საქართველოს შესახებ, CM/Inf/DH(2006)19rev3 რუსეთის შესახებ, CM/Inf/DH(2007)30 უკრაინის შესახებ.

<sup>187</sup> იხილეთ *ივანოვი*, 99-ე პარაგრაფი.

<sup>188</sup> იხილეთ, მაგალითად, აპიჩელა იტალიის წინააღმდეგ, საჩივარი No. 64890/01, დიდი პალატის 2006 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება, 78-ე პარაგრაფი.

<sup>189</sup> იხილეთ, *მარინკოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ*, საჩივარი No. 5353/11, 2013 წლის 29 იანვრის განჩინება, 59-ე პარაგრაფი

კონვენციის მე-13 მუხლის კონტექსტში ზოგადი სამართლებრივი დაცვის საშუალება არის ის, რომლის მიზანია საჯარო ხელისუფლების მიერ კონვენციით გათვალისწინებული უფლების ან თავისუფლების დარღვევის გამოსწორება ისე, რომ საჩივარი შეზღუდული არ იყოს რაიმე ფაქტობრივ ან სამართლებრივ კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ მე-13 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, ვისი უფლებები და თავისუფლებებიც დარღვეულია „ყველა“ აღჭურვის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებით. იგი მონაწილე სახელმწიფოებისგან არ მოითხოვს უზრუნველყონ ზოგადი სამართლებრივი დაცვის საშუალება, როგორც ასეთი.

ზოგადი პრინციპები, რომლებიც ეხება საკითხს, არის თუ არა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები ეფექტიანი კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე, ასევე, ვრცელდება ზოგადი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტიანობაზე.<sup>190</sup> ეს ნიშნავს, რომ ზოგადი სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა იყოს ეფექტიანი, საკმარისი და ხელმისაწვდომი (უფრო ვრცლად იხილეთ ქვემოთ მე-II ნაწილი).

როგორც ჩანს, შესაძლებელია, ზოგადი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალების ორი ფართო სახეობის განსხვავება: ერთი მხრივ, ზოგიერთ მონაწილე სახელმწიფოში ინდივიდების შესაძლებლობა სამართალწარმოების მიმდინარეობისას მოსამართლეების წინაშე დაეყრდნონ კონვენციის დებულებებს და, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სარჩელი.

ზოგადი სამართლებრივი დაცვის საშუალებას შეიძლება წარმოადგენდეს ის, რომ კონვენცია რამდენიმე ან თუნდაც ყველა სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე შეიძლება მიჩნეულ იქნეს გამოსაყენებელი სამართლის წყაროდ.<sup>191</sup> მსგავსი სისტემა საშუალებას იძლევა, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების სავარაუდო დარღვევები სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე დადგინდეს, უმაღლეს სასამართლოებში კონვენციის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით

<sup>190</sup> იხილეთ, მაგალითად, *Surmeli v. Germany*, საქ. ნომ. 75529/01, დიდი პალატის 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, 97-101 პარაგრაფები.

<sup>191</sup> ამ ტიპის სართლებრივი დაცვის საშუალებები არსებობს, მაგალითად, ავსტრიაში (ავსტრიაში კონვენციის საკონსტიტუციო სტატუსიდან გამომდინარე, ავსტრიულმა ხელისუფლებამ და სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღოს კონვენცია და სასამართლოს პრეცედენტული სამართალი), ირლანდიაში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 2003 წლის აქტი, მე-3 ნაწილი; ეს სამართლებრივი დაცვის საშუალება, უმაღლესი სასამართლოების წინაშე, ხელმისაწვდომია, როდესაც სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალება არ არსებობს და იმ მოცულობით, რომ იგი სუბსიდიარულად შეიძლება ჩაითვალოს), ჰოლანდიაში (სამოქალაქო კოდექსის მე-6:162 მუხლი), ნორვეგიაში (ნორვეგიის კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა პოზიციის გაძლიერების თაობაზე 1999 წლის კანონი, მე-3 ნაწილი), დიდ ბრიტანეთში (1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტი, მე-8 ნაწილი).

გასაჩივრების საჭიროების გარეშე. რაც შეეხება დარჩენილ განსახილველ საკითხებს, საჭიროების შემთხვევაში, ისინი განხილული იქნება უფრო მაღლა მდგომი ეროვნული სასამართლოს მიერ.

#### A. საკონსტიტუციო საჩივრები

ბევრ წევრ ქვეყანაში, ეროვნული კონსტიტუციით დაცული უფლების სავარაუდო დარღვევიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვის საშუალებისთვის შესაძლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა.<sup>192</sup> ისევე, როგორც საჩივრის განსაზღვრისათვის საბოლოო შიდასახელმწიფოებრივი დონეს უზრუნველყოფს, ზოგადი სამართლებრივი დაცვის საშუალების ამ ფორმამ ასევე შეიძლება, ხელი შეუწყოს დაცული უფლებების თანმიმდევრულობის, განვითარების, განმარტებისა და გამოყენების უზრუნველყოფას შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. აღნიშნულის საბოლოო შედეგი კი ზოგადად უფლებათა დაცვის გაღრმავებაა. ინდივიდუალურ საქმეებზე გადაწყვეტილებების მეშვეობით, რომლებიც შემდეგში სტრასბურგის სასამართლოს საჩივრის საფუძველი ხდება, საკონსტიტუციო სასამართლო შეიძლება, სასამართლო დიალოგში ჩაერთოს ეროვნულ და ევროპულ დონეებს შორის. ეს ორი ასპექტი - სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფა და კონვენციით გათვალისწინებული უფლებების სავარაუდო დარღვევის უმაღლეს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სასამართლო განხილვა - ხელს უწყობს კონვენციის სისტემის საერთო ფარგლებში სუბსიდიარულობის პრინციპის ეფექტიან ფუნქციონირებას.

სამართლებრივი დაცვის ზოგადმა საშუალებამ, ასევე, შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაში იმ სიტუაციაში, როდესაც არ არსებობს სპეციფიკური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დააკმაყოფილოს კონვენციის მე-13 მუხლის დებულების მოთხოვნა, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მიწოდება „ყველასთვის, ვისი უფლებებიც და თავისუფლებებიც... დარღვეულია“ (ხაზგასმა დამატებულია). მაგალითად, ზოგიერთ წევრ ქვეყანას აქვს კონსტიტუციური სარჩელი, როგორც გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლების სავარაუდო დარღვევისათვის

<sup>192</sup> როგორც, მაგალითად, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ხორვატიაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გერმანიაში, ლატვიაში, სერბეთში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში, სლოვენიაში, ესპანეთსა და თურქეთში. 2008 წელს, „ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია)“, აღნიშნული კომისიისათვის ჩატარებულმა შედარებითმა კვლევამ დაადგინა, რომ „საკონსტიტუციო საჩივრები და მსგავსი კონსტიტუციური სამართლებრივი დაცვის საშუალებები“ არსებობდა ალბანეთში, ანდორაში, ავსტრიაში („ნაწილობრივ“), აზერბაიჯანში, ხორვატიაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, კვიპროსში, „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში“, საქართველოში, გერმანიაში, უნგრეთში, ლიხტენშტეინში, მონტენეგროში (მხოლოდ ადმინისტრაციულ საკითხებში), მალტაში, პოლონეთში, რუსეთის ფედერაციაში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში და უკრაინაში: იხილეთ, doc. CDL-JU(2008)026, 2008 წლის 7 ნოემბერი.)



შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალება (კონვენციის მე-6(1) მუხლი).

რამდენიმე წევრი სახელმწიფოს კონსტიტუცია ითვალისწინებს პირის და, რიგ შემთხვევებში, იურიდიული პირის მიერ, გარკვეული ფორმით კონსტიტუციური სარჩელის (ან საჩივრის) პროცედურის დაწყებას,<sup>193</sup> რომლის მეშვეობით მათ შეუძლიათ საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლონ, რომ საჯარო ხელისუფლების ქმედებამ ან უმოქმედებამ გამოიწვია კონსტიტუციით დაცული მათი უფლებების დარღვევა. ასეთი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, მე-13 მუხლის მიზნებისათვის, აღიარებულია, როგორც ეფექტიანი, როდესაც კონსტიტუციით დაცული უფლებები მკაფიოდ მოიცავს ან შინაარსობრივად შეესაბამება კონვენციით გარანტირებულ უფლებებს.<sup>194</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ „რაც შეეხება სამართლებრივ სისტემებს, სადაც ადამიანის ფუნდამენტალური უფლებებისა და თავისუფლების კონსტიტუციური დაცვა უზრუნველყოფილია... დაზარალებული პირია პასუხისმგებელი, შეამოწმოს აღნიშნული დაცვის ფარგლები“.<sup>195</sup>

მსგავსი სამართლებრივი დაცვის საშუალების სამართლებრივ ფარგლებში შეზღუდვამ, იგი შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში, კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, არაეფექტიანი გახადოს. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ინდივიდუალური საჩივრების განხილვა არაეფექტიანი იყო, როდესაც სავარაუდო დარღვევა გამოწვეული იყო არა გამოსაყენებელი სამართლის ნორმის არაკონსტიტუციურობით (საკითხი, რომელიც შედიოდა საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციაში), არამედ იმ დებულების მცდარი გამოყენებით ან განმარტებით, რომლის შინაარსიც არაკონსტიტუციური გახლდათ (რომელიც მის ფარგლებს გარეთ იყო).<sup>196</sup> ანალოგიურად, კონსტიტუციური სარჩელი, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება, კონვენციის 35-ე მუხლის მიხედვით, შეიძლება არაეფექტიანი იყოს, სადაც იგი დაკავშირებულია მხოლოდ

<sup>193</sup> როგორც მაგალითად, ავსტრიაში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ლატვიაში, რუსეთის ფედერაციაში, სლოვაკეთში, სლოვენიაში და თურქეთში.

<sup>194</sup> საქმეში აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (საჩ.ნომ.40765/02, 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება) სასამართლომ აღნიშნა, რომ არცერთი შესაბამისი შიდა კონსტიტუციური ნორმა „არ ადგენს გარანტიებს სავალდებულო მალის მქონე გადაწყვეტილებების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც მინიმუმ *სრულებით შესაძარებელია* სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განვითარებულებთან ((იტალიკები დამატებულია; 38-ე პარაგრაფი).

<sup>195</sup> იხილეთ, მაგალითად, *Vinčić and Others v. Serbia*, საჩ. ნომ. 44698/06 და სხვები, 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება, 51-ე პარაგრაფი.

<sup>196</sup> იხილეთ, *Savics v. Latvia*, საჩ. ნომ. 17892/03, 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება, 113-115 პარაგრაფები; აგრეთვე *Dorota Szott-Medynska v. Poland*, საჩ. ნომ .47414/99, 2003 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დასაშვებობის თაობაზე.

საკანონმდებლო დებულებებთან და არა ჩვეულებრივი სასამართლოს გადაწყვეტილებებთან, როდესაც სარჩელი ამ უკანასკნელს ეხება.<sup>197</sup>

კონსტიტუციური სარჩელი ზოგადად სუბსიდიურია: კონსტიტუციური სარჩელის წარდგენამდე, მოძივანმა, პირველ რიგში, უნდა ამოწუროს სასამართლოს წინაშე ჩვეულებრივი კანონმდებლობით არსებული ხელმისაწვდომი და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებები. შეიძლება აღნიშნული წესიდან გამონაკლისი არსებობდეს, მაგალითად, როდესაც მისი საჩივარი მოძივნიანთის გამოიწვევდა სერიოზულ და გამოუსწორებელ ზიანს<sup>198</sup> ან კონკრეტული სახის საჩივრის დროს, როგორცაა ჩვეულებრივი სასამართლოების წინაშე სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობა.<sup>199</sup>

გზა, სადაც სუბსიდიარულობის პრინციპი გამოიყენება, შეიძლება, წინააღმდეგობაში მოვიდეს, კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელის ეფექტიანობასთან. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ შიდასახელმწიფოებრივი მოთხოვნა, პირველ რიგში, ამოიწუროს სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რაც მოიცავს უზენაესი სასამართლოსათვის დამატებითი საკასაციო საჩივრის წარდგენას, მაშინ როდესაც მანამდე გამოყენებული სამართლებრივი დაცვის საშუალება არაეფექტიანი იყო, წარმოადგენდა კონსტიტუციური სარჩელის ხელმისაწვდომობის დაბრკოლებას.<sup>200</sup> სხვა შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ შიდასახელმწიფოებრივი მოთხოვნა, რომელიც ზღუდავს უზენაესი სასამართლოს წინაშე (ამ შემთხვევაში, ნორმატიულ საფუძველზე დასაშვებობა) სადავოდ გამხდარ სამართლის საკითხებზე კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებს „შედეგად ფაქტობრივად კრძალავდა მოძივნიის მატერიალური მოთხოვნის განხილვას“ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.<sup>201</sup> იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს დისკრეცია სარჩელი დააკმაყოფილოს იმ საფუძველით, რომ მოძივნიანთის „სერიოზული და გამოუსწორებელი შედეგებით“ „უხეზად დაირღვა“ უფლება, იმის თაობაზე საკმარისი სასამართლო პრაქტიკის არ არსებობის პირობებში, თუ როგორ უნდა განიმარტოს და გამოყენებული იყოს აღნიშნული საფუძველები, კონსტიტუციური სარჩელი „მოძივნიის საქმეზე, არ შეიძლება საკმარისი დარწმუნებით მოხსენიებული იყოს, როგორც ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება“.<sup>202</sup>

<sup>197</sup> იხილეთ, მაგალითად, *Rolim Comercial, S.A. v. Portugal*, საჩ. ნომ. 16153/09, 2013 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება.

<sup>198</sup> აღნიშნული ფართო ტიპის გამონაკლისი არსებობს, მაგალითად, აზერბაიჯანში, გერმანიაში, ლატვიაში და სლოვენიაში.

<sup>199</sup> როგორც, მაგალითად, ხორვატიაში, სერბეთში.

<sup>200</sup> იხილეთ, *Ismayilov v. Azerbaijan*, საჩ. ნომ. 4439/04, 2008 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება, 39-40 პარაგრაფები.

<sup>201</sup> *Zborovsky v. Slovakia*, საჩ. ნომ. 14325/08, 2012 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 51-54 პარაგრაფები.

<sup>202</sup> იხილეთ, *Horvat v. Croatia*, საჩ. ნომ. 51585/99, 2001 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება, 41-44 პარაგრაფები.

საერთოდ, სამართლებრივი დაცვის საშუალება ეფექტიანად რომ ჩაითვალოს, კონსტიტუციური სარჩელი პირდაპირ ხელმისაწვდომი უნდა იყო პირებისათვის. ამრიგად, სასამართლო უარი თქვა მიეჩნია, მაგალითად, იტალიაში არსებული განსაკუთრებული კონსტიტუციური საჩივარი, როგორც ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რამდენადაც მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ან *ex officio* ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე: „იტალიის სამართლებრივ სისტემაში პირი უფლებამოსილი არ არის კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე პირდაპირ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მხოლოდ სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმის არსებით გარემოებებს, აქვს უფლება საქმე გადასცეს საკონსტიტუციო სასამართლოს, საკუთარი შუამდგომლობის ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისად, მსგავსი განცხადება არ შეიძლება წარმოადგენდეს სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომლის ამოწურვასაც ითხოვს კონვენციის 35-ე მუხლი.“<sup>203</sup>

აუცილებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე არსებულმა სამართლებრივი დაცვის საშუალებამ უზრუნველყოს ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღება. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო დაადგენს, რომ თავად ვერ იღებს გადაწყვეტილებას, რადგან შეცდომისაგან არ არის დაცული, შედეგად, იზღუდება სასამართლოსადმი ხელმისაწვდომის უფლების არსი და მომჩივანს ერთმევა ეფექტიანი უფლება, რომ მისი საკონსტიტუციო საჩივრის თაობაზე მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება.<sup>204</sup>

იმისათვის, რომ კონსტიტუციური სარჩელის პროცედურა, კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, წარმოადგენდეს ეფექტურ სამართლებრივი დაცვის საშუალებას, მან, ასევე, უნდა უზრუნველყოს დარღვევისათვის ეფექტიანი ზიანის ანაზღაურება. საკონსტიტუციო სასამართლო უნდა აღიჭურვოს ძალაუფლების ფართო დიაპაზონით. აღნიშნული ხშირად მოიცავს: დარღვევის არსებობის დადგენას;<sup>205</sup>

---

(NB ხორვატიული კანონი შემდგომში შეიცვალა და სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის შემთხვევებში, დარღვევის სიმძიმის ან მისი შედეგების მიუხედავად, სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვამდე კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლება დაადგინა: იხილეთ *Slaviček v. Croatia*, საჩ. ნომ. 20862/02, 2002 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება, დასაშვებობის თაობაზე).

<sup>203</sup> იხილეთ, *Immobiliare Saffi v. Italy*, საჩ. ნომ. . 22774/93, დიდი პალატის 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება, 42-ე პარაგრაფი. იხილეთ, აგრეთვე, მაგალითად, *I.R.S. v. Turkey*, საჩ. ნომ. 26338/95, 2003 წლის 28 იანვარი.

<sup>204</sup> იხილეთ, *Marini v. Albania*, App. No. 3738/02, judgment of 18 December 2007 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, 119-123 პარაგრაფები.

<sup>205</sup> როგორც, მაგალითად, ალბანეთში, ანდორაში, სომხეთში, ავსტრიაში, ბელგიაში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გერმანიაში, ლატვიაში, რუსეთის ფედერაციაში, სერვეთში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში და სლოვენიაში.

სადაო გადაწყვეტილების, ღონისძიების ან აქტის გაუქმებას; <sup>206</sup> თუ დარღვევა განპირობებულია უმოქმედობით, შესაბამისი ორგანოსაგან საჭირო ნაბიჯების გადადგმის მოთხოვნას; <sup>207</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნების შემდეგ, შესაბამისი ორგანოსთვის საქმის გადაცემა მისი შემდგომი განხილვისათვის; <sup>208</sup> კომპენსაციის გადახდის ბრძანების გაცემას; <sup>209</sup> და ბრძანების გაცემას *restitutio in integrum*.<sup>210</sup>

აღნიშნული ძალაუფლება უნდა არსებობდეს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ, პრაქტიკაშიც ეფექტური უნდა იყოს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს ბრძანებას, დაჩქარდეს საქმის განხილვა, უნდა ჰქონდეს პრევენციული ეფექტი, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევების წინააღმდეგ, სამართალწარმოების რეალურად დაჩქარების გზით.<sup>211</sup>

მაგალითისათვის, თუ საკონსტიტუციო სასამართლო, გაჭიანურებული სამართალწარმოების შესახებ შესული საჩივრის შემდეგ, მიიღებს გადაწყვეტილებას არა მხოლოდ დარღვევის დადგენის შესახებ, არამედ გასცემს საჭირო ზომების მიღების ბრძანებას, მოხდება შემდგომი დარღვევების პრევენცია და ასევე, გაიცემა ადეკვატური ფინანსური კომპენსაცია, რაც იქნება „ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება იმ კუთხით, რომ მას შეეძლება, როგორც უფლების სავარაუდო დარღვევის გაგრძელების თავიდან აცილება, აგრეთვე უკვე არსებული დარღვევისათვის ადეკვატური ზიანის ანაზღაურების მინიჭება.“<sup>212</sup> მეორე მხრივ, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება შემოიფარგლება მხოლოდ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობით და სასამართლოში არსებობს სამართალწარმოების დაჩქარების ან დასრულების თაობაზე მოთხოვნა, მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობა არ აქვს გასცეს კონკრეტული დამაჩქარებელი ღონისძიების ან კომპენსაციის მინიჭების თაობაზე ბრძანება და როდესაც მოთხოვნის გავლენა შემდგომ სამართალწარმოებაზე გაურკვეველია, საკონსტიტუციო სარჩელი შეიძლება იყოს არაეფექტური.<sup>213</sup>

<sup>206</sup> როგორც, მაგალითად, ალბანეთში, ანდორაში, სომხეთში, ავსტრიაში, ბელგიაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გერმანიაში, სერბეთში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში და სლოვენიაში.

<sup>207</sup> როგორც, მაგალითად, ალბანეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, სერბეთში და სლოვაკეთის რესპუბლიკაში.

<sup>208</sup> როგორც, მაგალითად, ალბანეთში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გერმანიაში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში და სლოვენიაში.

<sup>209</sup> როგორც, მაგალითად, ავსტრიაში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში და სლოვაკეთის რესპუბლიკაში.

<sup>210</sup> როგორც, მაგალითად, სლოვაკეთის რესპუბლიკაში.

<sup>211</sup> იხილეთ, მაგალითად, *Vičanova v. Slovakia*, საჩ. ნომ. 3305/04, judgment of 18 December 2007 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

<sup>212</sup> იხილეთ, *Andrasik and Others v. Slovakia*, საჩ. ნომ. 57984/00 და სხვები, 2002 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, დასაშვებობის თაობაზე.

<sup>213</sup> იხილეთ, *Surmeli v. Germany*, საჩ. ნომ. 75529/01, 2006 წლის 8 ივნისის დიდი პალატის გადაწყვეტილება, 105-108 პარაგრაფები; *Hartman v. the Czech Republic*, საჩ. ნომ. 53341/99, 2003 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ქვეყნებში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია მხოლოდ დარღვევის დადგენის და გასაჩივრებელი აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის უფლებამოსილებით, საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის პროცედურა, როგორც კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალება, არის გარდაუვლად არაეფექტური. „ორი-ნაბიჯის“ მიდგომა, რომლის მიხედვითაც, მომჩივანს, საკონსტიტუციო სასამართლოს დარღვევის დამდგენ გადაწყვეტილებაში გადმოცემული პრინციპების შესაბამისად, შეუძლია უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოში მოითხოვოს მისი საქმის ხელახლა განხილვა ან სხვაგვარი გადასინჯვა, შეიძლება წარმოადგენდეს ეფექტურ სამართლებრივი დაცვის საშუალებას.<sup>214</sup> შიდა კანონმდებლობის თანახმად არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალების „გაერთიანება“ შესაძლოა, ჩაითვალოს ეფექტურ სამართლებრივი დაცვის საშუალებად; როგორც, მაგალითად, სლოვაკეთის რესპუბლიკაში, სადაც მოქალაქეებს შეიძლება მოთხოვონ საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა, კომპენსაციისათვის საჩივრის წარდგენის შემდგომ, საჯარო ხელისუფლების განხორციელების კონტექსტში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის თანახმად.<sup>215</sup>

მოთხოვნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იყოს გასცეს შესაბამისი ინდივიდუალური სასამართლო დაცვის საშუალების ბრძანება, ასახულია კონსტიტუციური საჩივრების „აბსტრაქტულ“ და „კონკრეტულ“ საჩივრებად დაყოფაზე. „აბსტრაქტული“ საჩივარი პირებს საშუალებას არ მისცემს, რომ გაასაჩივრონ სასამართლოს ან საჯარო ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას ახდენს მათ განსაკუთრებულ გარემოებებზე,<sup>216</sup> ან არ შებოჭავს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის ფარგლებში და არ მისცემს მას საშუალებას, რომ გამოიტანოს გადაწყვეტილება, სახელმწიფოს მიერ პირის წინააღმდეგ გამოყენებული კონკრეტული ღონისძიებების შეცვლის ან გაუქმების შესახებ.<sup>217</sup> „კონკრეტული“ საჩივარი საშუალებას იძლევა, რომ ხელისუფლების ან თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა ან როდესაც კონსტიტუციით განმტკიცებული უფლების დარღვევა არის იმგვარი ჩარევის შედეგი, რაც დადგენილი არ იყო გადაწყვეტილებით, აღმოიფხვრას. „კონკრეტული საჩივარი“, ასევე, შესაძლებელს ხდის თანამდებობის პირს აუკრძალოს უფლების დარღვევის გაგრძელება და თუ

<sup>214</sup> იხილეთ, *Dorota Szott-Medynska v. Poland*, საჩ. ნომ. 47414/99, 2003 წლის 9 ოქტომბრის განჩინება, დასაშვებობის შესახებ.

<sup>215</sup> იხილეთ, *Omasta v. Slovak Republic*, საჩ. ნომ. 40221/98, 2002 წლის 10 დეკემბრის განჩინება.

<sup>216</sup> იხილეთ, მაგალითად, *Apostol v. Georgia*, op. cit., მე-40 პარაგრაფი.

<sup>217</sup> იხილეთ, მაგალითად, *Ven v. Hungary*, საჩ. ნომ. 21495/93, კომისიის 1993 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება.

შესაძლებელია, უბრძანოს მას რომ აღადგინოს სტატუს-კვო.<sup>218</sup> ამგვარი კონსტიტუციური სარჩელი, ასევე, იძლევა საშუალებას, რომ აღმოიფხვრას ის დარღვევები, რომლებიც წარმოიშვა სასამართლო ორგანოების პირდაპირი და უშუალო ქმედების ან უმოქმედობის შედეგად; კანონის არაკონსტიტუციურად გამოცხადება იწვევს, ამ აქტის საფუძველზე სასამართლოს ან საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილებების გაუქმებას.<sup>219</sup>

### კარგი პრაქტიკის მაგალითი

„საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ინდივიდუალური მიმართვის უფლება“ თურქეთის სამართლებრივ სისტემაში დაინერგა 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ. საკონსტიტუციო სასამართლომ, აღნიშნული ნორმის შესაბამისად, საჩივრების მიღება 2012 წლის 23 სექტემბრიდან დაიწყო. სასამართლომ დაადგინა, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს რაიმე მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალება, პრინციპში, არ უზრუნველყოფდეს კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრებისათვის სათანადო ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.<sup>220</sup>

### *B. კონვენციის დებულებების პირდაპირი მოხმობა, სამართლებრივი დაცვის საშუალებების სამართალწარმოების მიმდინარეობისას*

იმ სამართლებრივ სისტემებში, სადაც კონვენციას აქვს შიდა კანონის სტატუსი, ჩვეულებრივი სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ზოგიერთი ან ყველა სასამართლოს მიერ იგი უშუალოდ გამოიყენება. აღნიშნული იმ პირებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი უფლებების დარღვევა განაპირობა საჯარო ხელისუფლების ქმედებამ ან უმოქმედობამ, შესაძლებლობას აძლევს, ნებისმიერი შიდა სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე წარადგინოს საჩივარი, სამართლებრივი დაცვის საშუალების მოსაპოვებლად. აღნიშნულს ექნებოდა ადგილი, მაგალითად, მონისტურ სამართლებრივ სისტემებში, სადაც ხელშეკრულებების დებულებები და საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები, რომელიც მათი არსის წყალობით შეიძლება ყველა პირისათვის სავალდებულო იყოს, გამოქვეყნებისთანავე სავალდებულო ხდება. ზოგიერთ მონაწილე სახელმწიფოში, კონვენციას ეროვნულ

<sup>218</sup> იხილეთ, მაგალითად, *Hartman v. the Czech Republic*, სჩ. ნომ. 53341/99, 2003 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება, 49-ე პარაგრაფი; *Surmeli v. Germany*, სჩ. ნომ. 75529/01, დიდი პალატის 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, 62-ე პარაგრაფი.

<sup>219</sup> იხილეთ, მაგალითად, *Riera Blume and Others v. Spain*, სჩ. ნომ. 37680/97, 1999 წლის 9 მარტის განჩინება, დასაშვებობის თაობაზე; *Voggenreiter v. Germany*, სჩ. ნომ. 47169/99, 2004 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება, 23-ე პარაგრაფი.

<sup>220</sup> იხილეთ, მაგალითად, *Hasan Uzun v. Turkey*, სჩ. ნომ. 10755/13, 2013 წლის 30 აპრილის განჩინება, დასაშვებობის თაობაზე.

კანონმდებლობასთან მიმართებით უპირატესი ძალა აქვს. აღნიშნული ტიპის სისტემაში, თვითაღსრულებადი ხელშეკრულების დებულებები, როგორცაა კონვენციით გარანტირებული უფლებები, სასამართლოების მიერ დაუყოვნებლივ არის აღსასრულებელი.

მსგავსი საქმის წარმოება დარეგულირებული იქნება სტანდარტული პროცედურული წესებით. შესაბამის სასამართლოს ან ტრიბუნალს, დარღვევისათვის ზიანის ასანაზღაურებლად, შესაძლებლობა ექნება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გასცეს ნებისმიერი ბრძანება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ან არ მოიცავდეს კომპენსაციის მინიჭების უფლებას; <sup>221</sup> ალტერნატიულად, ის შეიძლება, კომპენსაციის მინიჭებისას შეზღუდული იყოს. <sup>222</sup> იმდენად, რამდენადაც შესაბამის სასამართლოსა და ტრიბუნალს არ აქვს კანონის გაუქმების უფლებამოსილება, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებას, რომ დარღვევა განაპირობა კანონისა და დაცული უფლების ფუნდამენტურმა შეუთავსებლობამ, დაუყოვნებელი შედეგი არ ექნება აღნიშნული კანონის ფართო გამოყენებაზე. თუმცა, შესაბამის სასამართლოსა და ტრიბუნალს შეუძლია, განაცხადოს, რომ კანონი დაცულ უფლებასთან შეუთავსებელია; მოცემული კომპეტენცია ჩვეულებრივ უმაღლეს სასამართლოებს აქვთ. <sup>223</sup>

მაგალითად, ნორვეგიაში, კონვენცია შიდა კანონმდებლობაში ინკორპორირებულია 1999 წლის 21 მაისის ნორვეგიის სამართალში ადამიანის უფლებათა პოზიციის გაძლიერების შესახებ კანონის მეშვეობით (ადამიანის უფლებათა აქტი). მოცემული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, შიდა კანონმდებლობის დებულებებთან კოლიზიის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ინკორპორირებული კონვენციების დებულებებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს. კონვენციის დებულებები უშუალოდ მოქმედებს და ნორვეგიის სასამართლოების წინაშე შეიძლება, პირდაპირ იქნეს გამოყენებული. სასამართლოს შეუძლია, დაადგინოს არის თუ არა მის წინაშე განსახილველ საქმეში შიდა კანონმდებლობის დებულება ადამიანის უფლებათა კონვენციის დებულებასთან წინააღმდეგობაში, თუმცა იგი კომპეტენტური არ არის, რომ შიდა კანონმდებლობის ნორმა ზოგადად ადამიანის უფლებათა კონვენციებთან შეუსაბამოდ გამოაცხადოს. ანალოგიურად, სლოვაკეთის კონსტიტუციის 152(4)-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციური კანონების, კანონებისა და სხვა ზოგადად სავალდებულო სამართლებრივი ნორმების განმარტება და გამოყენება კონსტიტუციასთან უნდა იყოს შესაბამისობაში; და 154(გ) მუხლის მიხედვით, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მათ შორის, კონვენციას, შიდა კანონებთან მიმართებით უპირატესი ძალა უნდა ჰქონდეს, თუ ისინი

<sup>221</sup> როგორც, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში.

<sup>222</sup> როგორც, მაგალითად, ირლანდიაში.

<sup>223</sup> როგორც, მაგალითად, ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთში.

კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებისათვის უფრო ფართო არეალს ადგენენ. კანონის გამოყენებისას შიდა ხელისუფლებაზე აღნიშნული დებულებების კომბინირებული ეფექტი არის ის, რომ კონვენცია და შესაბამისი პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს სავალდებულო განმარტებით სახელმძღვანელო მითითებს კონსტიტუციის მე-2 სექციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებასა და სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, იგი ქმნის ჩარჩოს, რომლის გადაბიჯებაც გარკვეულ საქმეებზე ხელისუფლების ორგანოების მიერ არ შეიძლება (see I. ÚS 67/03).

### კარგი პრაქტიკის მაგალითი

საფრანგეთში, 1958 წლის 4 ოქტომბრის კონსტიტუციის 55-ე მუხლის შესაბამისად, კონვენციას უმაღლესი კანონის სტატუსი აქვს, რომელიც ადგენს, რომ „ხელშეკრულებები და შესაბამისად რატიფიცირებული ან დამტკიცებული შეთანხმებები, გამოქვეყნებისთანავე, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე უპირატესი ხდება.“ ნებისმიერ მომჩივანს შიდა სასამართლოს წინაშე შეუძლია, დაეყრდნოს კონვენციაში განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ პირდაპირი ძალა. შედეგად, კონვენციის დებულებების სავარაუდო დარღვევის თაობაზე შიდა სასამართლოების წინაშე პირმა უნდა წარადგინოს საჩივარი, რათა მას მიეცეს საშუალება, რომ მოახდინოს დარღვევის პრევენცია ან, საჭიროების შემთხვევაში, ანაზღაუროს დარღვევით გამოწვეული ზიანი. მომჩივანი ვალდებულია, რომ კონვენციის დარღვევის თაობაზე საჩივარი შიდა სასამართლოს მოსამართლეს წარუდგინოს. თუ აღნიშნული არ განხორციელდა, ევროპული სასამართლო საჩივარს დაუშვებლად ცნობს, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალების ამოწურვის მოთხოვნის შეუსრულებლობის საფუძველზე.<sup>224</sup> ეს მექანიზმი პირთათვის უზრუნველყოფს ვრცელ სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სამართალწარმოების მიმდინარეობისას. მსგავსი სისტემა არსებობს, მაგალითად, ავსტრიაში, კონვენციის საკონსტიტუციო რანგიდან გამომდინარე.<sup>225</sup>

შვედეთში, უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა პრაქტიკა, რომლის მიხედვით კონვენციის დარღვევით გამოწვეული ზიანი შეიძლება, ანაზღაურდეს. კონვენციის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნები შეიძლება, წარედგინოს

<sup>224</sup> იხილეთ, მაგალითად, *Segame SA v. France*, საჩ. ნომ. 4837/06, 2012 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, 68 და 71 პარაგრაფები; *A.S.P.A.S. & Lasgrezas v. France*, საჩ. ნომ. 29953/08, 2011 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება, 59-ე პარაგრაფი.

<sup>225</sup> იხილეთ, *Tauernfleisch Vertriebs GmbH et al. v. Austria and 21 others applications*, საჩ. ნომ. 36855/06, 2013 წლის 13 მარტის განჩინება, 8, 9, 23 და 24 პარაგრაფები.



იუსტიციის კანცლერს. მომჩივანს, რომელმაც იუსტიციის კანცლერის წინაშე წარადგინა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუკი არ აკმაყოფილებს კანცლერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეუძლია მსგავსი მოთხოვნა საერთო სასამართლოების წინაშეც წარადგინოს. ასევე, შესაძლებელია, მსგავსი მოთხოვნის დაყენება პირდაპირ საერთო სასამართლოების წინაშე, იუსტიციის კანცლერისთვის მიმართვის გარეშე. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, იუსტიციის კანცლერის პრაქტიკასთან ერთად, მიჩნეული უნდა იყოს, როგორც საკმარისად ცხადი, რათა დადგინდეს, რომ შვედეთში არსებობს ხელმისაწვდომი და ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელსაც შეუძლია კონვენციის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების მინიჭება და შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ პოტენციური მომჩივნები, ევრო სასამართლოსადმი მიმართვამდე, კონვენციის სავარაუდო დარღვევისათვის კომპენსაციის მოთხოვნით შიდა სასამართლოებს მიმართავენ.<sup>226</sup>

## V. კონვენციის განხილვა ეროვნული სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ

1 მუხლის თანახმად, კონვენციის თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია, თავისი იურისდიქციის ფარგლებში, ყველასთვის უზრუნველყოს კონვენციით გარანტირებული უფლებები და 46-ე მუხლის თანახმად, მოახდინოს სტრასბურგის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების იმპლემენტაცია, რომელშიც იგი მხარეს წარმოადგენს. ევროპულ სასამართლოს მოუწოდებენ, რომ თანმიმდევრულად განახორციელოს კონვენციის განმარტება,<sup>227</sup> სახელმწიფოს ყველა ორგანოსათვის, მათ შორის ეროვნული სასამართლოებისა და ტრიბუნალებისათვის, სასურველია, რომ მხედველობაში მიიღონ მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ საქმეებში სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი განმარტებები. აღნიშნულმა შეიძლება კონვენციის დარღვევების თავიდან აცილება განაპირობოს. შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტურობა შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს, თუ მას შეეძლება უპასუხოს სასამართლოს მიერ კონვენციის ცვალებად განმარტებას, იმის ლოდინის გარეშე, რომ აღნიშნული კონკრეტულად აისახება შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ დარღვევის დადგენაზე.

ბრაიტონის დეკლარაცია ყურადღებას ამახვილებს ევროპულ სასამართლოსა და ეროვნულ სასამართლოებსა და ტრიბუნალებს შორის დიალოგის მნიშვნელობაზე.<sup>228</sup>

ეს ეხება არა მხოლოდ მოსამართლეებს შორის შეხვედრებს, არამედ განსაკუთრებით იდეებისა და პრინციპების გაცვლას, რომელიც გამოხატულია სასამართლო

<sup>226</sup> იხილეთ, *Eriksson v. Sweden*, საჩ. ნომ. 60437/08, 2012 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, §52, cf. also *Berg v. Sweden*, საჩ. ნომ. 26427/06, 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინება და *Eskilsson v. Sweden*, საჩ. ნომ. 14628/08, 2012 წლის 24 იანვრის განჩინება.

<sup>227</sup> იხილეთ, ბრაიტონის დეკლარაციის 23-ე და 25(გ) პარაგრაფები.

<sup>228</sup> იხილეთ ბრაიტონის დეკლარაციის 12(გ) პარაგრაფი.

გადაწყვეტილებებში. თუ ეროვნულ სასამართლოებსა და ტრიბუნალებს შეუძლიათ გაითვალისწინონ კონვენციის პრინციპები და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მათ შეუძლიათ აღნიშნული განიხილონ საკუთარ გადაწყვეტილებებში და ამ ანალიზის შედეგად ევროპულ სასამართლოს, თავის მხრივ, შეუძლია მოახდინოს გავლენა და ასევე, თავადაც გაითვალისწინოს იგი. ეს ამდიდრებს და აფართოებს სასამართლოს როლის გავლენას კონვენციის ავტორიტეტულად განმარტებაზე. ბრაიტონის დეკლარაციაში, ხელშემკვრელმა მხარეებმა გამოხატეს მზადყოფნა, ხელი შეუწყონ აღნიშნულ ურთიერთობას.<sup>229</sup>

ბევრ სამართლებრივ სისტემაში, სასამართლოს ან ტრიბუნალს შეუძლია გაითვალისწინოს ნებისმიერი სამართლის წყარო ან განმარტება, განსაკუთრებით როდესაც იგი განიხილავს მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც თაობაზეც მის სამართლებრივ სისტემაში არ არსებობს ჩამოყალიბებული მოსაზრება. მაგალითად, სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს არა მხოლოდ იმავე იურისდიქციის სხვა სასამართლოების გადაწყვეტილებები, არამედ, აგრეთვე, სხვა იურისდიქციის საერთაშორისო სასამართლოების, უმაღლესი სასამართლოებისა და ტრიბუნალების პრაქტიკა. თუ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები ეროვნულ მართლწესრიგში ინკორპორირებულია კონკრეტული კანონმდებლობის ან ზოგადი კონსტიტუციური მოწყობით ეროვნულ სასამართლოებს და ტრიბუნალებს შეუძლიათ, აღნიშნული უფლებების განმარტება და გამოყენება. ამ გარემოებაში, უმნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ სასამართლოს ან ტრიბუნალს შეეძლოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მოხმობა,<sup>230</sup> რომლის გარეშეც იგი ვერ მოახდენდა კონვენციის სათანადო განმარტებას.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, სასამართლო ან ტრიბუნალი, იმ საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც წარმოიშვა ეროვნულ კანონმდებლობაში ინკორპორირებულ კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან დაკავშირებით, ვალდებულია გაითვალისწინოს (თუმცა ფორმალურად არ არის შებოჭილი) ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რაც, პრაქტიკულად, გულისხმობს, რომ ეროვნული სასამართლოები და ტრიბუნალები იცავენ ევროპული სასამართლოს განმარტებებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს კონკრეტული მიზეზი, რის გამოც უნდა გადაუხვიონ მას.<sup>231</sup>

<sup>229</sup> იხილეთ ბრაიტონის დეკლარაციის 9(გ) პარაგრაფი.

<sup>230</sup> და ანალოგიურად ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და მინისტრთა კომიტეტი სანამ კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმი შევიდა ძალაში.

<sup>231</sup> დიდი პალატისათვის გადაცემის ლოდინშია საქმე *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, დიდი ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე *the R v. Horncastle and Others* უარი განაცხადა გაეზიარებინა პალატის ეჭვი, რომ შეიძლება არსებობდეს ნებისმიერი საპირწონე ფაქტორები, რომლებიც საკმარისი იქნებოდა ირიბი ჩვენების დასაშვებობის გასამართლებლად, რომელიც მსჯავრდების ერთადერთი და გადამწყვეტი საფუძველი იყო, დაადგინა რა, რომ შიდა კანონმდებლობა იცავდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა,

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში მოიხსენია გერმანულ სამართალსა და კონვენციას შორის ურთიერთობა და საკონსტიტუციო დონეზე ეფექტურად აამაღლა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის პრევედენტული სამართლის მნიშვნელობა. საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, კონვენცია, რომელსაც შიდა კანონმდებლობის მიხედვით ჩვეულებრივი საკანონმდებლო აქტის ხარისხი აქვს, კონსტიტუციით გათვალისწინებული ფუნდამენტალური უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპის „განმარტების დახმარების“ მიზანს ემსახურება. აღნიშნული არ მოითხოვს, რომ კონსტიტუციური პრინციპები სქემატურად შეესაბამებოდეს კონვენციის პრინციპებს, თუმცა მოითხოვს, რომ კონვენციის ღირებულებები მხედველობაში იქნეს მიღებული იმდენად, რომ იგი თავსებადი იყოს კონსტიტუციურ სტანდარტებთან. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, სტრასბურგის სასამართლოს პრევედენტული სამართლის გათვალისწინებით, საკუთარი გადაწყვეტილებებიც კი გააუქმა.<sup>232</sup> ანალოგიური მიდგომა აქვს ავსტრიის ხელისუფლებასა და სასამართლოებს.

ჰოლანდიის კონსტიტუციის 93-ე მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებები გამოქვეყნებისთანავე სავალდებულო ხდება. კონსტიტუციის 94-ე მუხლი აცხადებს, რომ ჰოლანდიის სამეფოში ძალაში მყოფი საკანონმდებლო რეგულაციები გამოყენებადი არ იქნება თუ მათი გამოყენება წინააღმდეგობაში მოდის იმ ხელშეკრულებების დებულებებთან, რომლებიც სავალდებულოა ყველა პირისათვის. შიდა სასამართლოები, რომლებიც იხილავენ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, კონვენციის გათვალისწინებით ამგვარად მოქმედებენ, ითვალისწინებენ რა არა მხოლოდ ჰოლანდიის წინააღმდეგ მიღებულ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, არამედ ეცნობიან კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს მთლიან მიდგომას: კონვენციის დებულებები განმარტებული უნდა იყოს სტრასბურგის სასამართლოს განმარტების შესაბამისად.<sup>233</sup>

---

მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ სტრასბურგის სასამართლოს მიერ ცალსახად დადგენილი პრაქტიკის გამოყენება ნორმალური იქნებოდა, მას შეუძლია უარი თქვას სტრასბურგის გადაწყვეტილების გამოყენებაზე, სადაც იგი შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, საკმარისად აფასებს ან ითვალისწინებს თუ არა სასამართლო შიდა სამართალწარმოების პროცედურას.

Horncastle-ს გადაწყვეტილების ფონზე, დიდმა პალატამ საქმეზე Al-Khawaja and Tahery განაცხადა, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებობა, რომელიც არის ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულება ავტომატურად არ წარმოადგენს მე-6(1) მუხლის დარღვევას და დაადგინა, რომ დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა შეიცავდა ძლიერ გარანტიებს სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. მის თანმხვედრ აზრში, მოსამართლე ბრატხამ მიიჩნია, რომ ეს იყო სასამართლო დიალოგის კარგი მაგალითი.

<sup>232</sup> პრევენციული დაკავება, 2011 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება, ნომ. 2 BvR 2365/09, იხილეთ, [www.bundesverfassungsgericht.de](http://www.bundesverfassungsgericht.de).

<sup>233</sup> მსგავსი სისტემები არსებობს, მაგალითად, საბერძნეთსა და შვედეთში.

ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კონვენციის განმარტებისას შიდა სასამართლოებმა იგივე მეთოდი უნდა გამოიყენონ, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს და ამასთანავე, გაითვალისწინოს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. თუ ექვი არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილებათა ფარგლებთან დაკავშირებით, სასამართლოებმა უნდა განიხილონ, ფაქტები და კანონები არის თუ არა შესაბამისობაში ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და შიდა სასამართლოს წინაშე განსახილველ საქმესთან. გამომდინარე იქედან, რომ ევროპული სასამართლოს პირველადი ამოცანაა განავითაროს კონვენცია, ნორვეგიის უზენაესმა სასამართლოს განაცხადა, რომ შიდა სასამართლოების განმარტება არ უნდა იყოს ისეთივე დინამიური, როგორც სტრასბურგის სასამართლოს განმარტებებია. პრაქტიკულად, უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა ნიშნავს, რომ შიდა სასამართლოებმა უნდა დაიცვან ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

როდესაც ეროვნული სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე დგას ამოცანა, რომ განმარტოს შიდა კანონმდებლობა, მას შეუძლია თავიდან აიცილოს დარღვევა თუ, ალტერნატიული განმარტებების არჩევის დროს, გადაწყვეტს კონვენციის ნებისმიერ მოთხოვნათა გათვალისწინებას, რომელიც განმარტებულია სტრასბურგის სასამართლოს მიერ. არსებობს განსხვავებული ფარგლები თუ როდის აქვს ეროვნულ სასამართლოებს ან ტრიბუნალებს აღნიშნულის განხორციელების უფლება. ბევრ სამართლებრივ სისტემაში არსებობს პრეზუმფცია, რომ სადაც სამართლის ნორმა ბუნდოვანია, საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი მტკიცებულების არარსებობისას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კანონმდებლობა მიზნად არ ისახავდა სახელმწიფოს ისეთ პოზიციაში ჩაყენებას, რომელიც დაარღვევდა კონვენციით გათვალისწინებულ მის ვალდებულებებს. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში<sup>234</sup> ეროვნული სასამართლოს ან ტრიბუნალისთვის ისიც კი არის შესაძლებელი, რომ უგულვებელყოს განმარტება, რომელიც სხვაგვარი იქნებოდა, სამართლის ნორმის განმარტებისას მხედველობაში რომ ყოფილიყო მიღებული მისი შეუთავსებლობა კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებთან და აღნიშნულის ნაცვლად იმგვარად იქნებოდა განმარტებული, რომ არ შეიზღუდებოდა სადავო ნორმის მნიშვნელობა ან დაწესდებოდა დამატებითი გარანტიები. ეს დახმარებას გაუწევს კანონის იმგვარად განმარტებას, რომელიც თავსებადია კონვენციასთან. კონკრეტულ საკითხს წარმოადგენს ის თუ რამდენად შეუძლია ეროვნული სასამართლოს და ტრიბუნალების მიერ საქმის წარმოებას ან მათ გადაწყვეტილებებს გამოიწვიონ კონვენციის დარღვევა. ეს შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული თუ ეროვნული

<sup>234</sup> მაგალითად, ავსტრიაში, დანიაში, ესტონეთში, ფინეთში, ლატვიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, თურქეთსა და გაერთიანებულ სამეფოში.

სასამართლოები და ტრიბუნალები კონვენციის პრინციპებს იმგვარად გაითვალისწინებენ, როგორც განმარტებულია სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით. მაგალითად, შვეიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა, კონვენციის მე-13 მუხლით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად, საკუთარი თავი უფლებამოსილად გამოაცხადა განეხილა საჩივარი, რომლისთვისაც, შესაბამისი ფედერალური კანონის მიხედვით, არ არსებობდა სამართლებრივი დაცვის საშუალება.<sup>235</sup> მსგავსი მიდგომა აქვს ავსტრიის უზენაეს სასამართლოსაც.<sup>236</sup>

ევროპული სასამართლოს აზრით, თუ შიდა სამართალწარმოების მიმდინარეობისას, შესაბამისი კონვენციით მინიჭებული უფლებები გამოიყენეს, აღნიშნული საკმარისი იქნება, რათა მიჩნეული იყოს, რომ მომჩივანმა ამოწურა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალება. მომჩივანს შესაძლოა, სურდეს სასამართლოს ან ტრიბუნალის ყურადღება გაამახვილოს კონვენციასა ან ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე და აღნიშნულის განხორციელებისას, მას შეიძლება, მოეთხოვოს ეროვნული სასამართლო პროცედურის დაცვა, თუმცა ნებისმიერი დაბრკოლება უნდა იყოს აუცილებელი და გარემოებების პროპორციული. ეროვნულმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა შეიძლება არ განიხილოს კონკრეტული საკითხი, თუ სამართალწარმოების მხარემ მისი ყურადღება აღნიშნული საკითხისადმი არ მიმართა.

ბევრ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში, მომჩივნისათვის აუცილებელი არ არის წარმოადგინოს ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების თარგმანი, რომელსაც იგი შიდა სამართალწარმოებაში ეყრდნობოდა. თუმცა ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, მომჩივანს შეიძლება, მოეთხოვებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თარგმანის წარდგენა, მაგრამ ნებისმიერ ასეთ მოთხოვნას, არ უნდა მოჰყვეს მომჩივნისათვის არაგონივრული ტვირთის დაკისრება.

როდესაც მომჩივანი სამართალწარმოების დროს ცდილობს მიუთითოს კონვენციაზე ან სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, საქმის წარმოების სხვა მხარეების „მხარეთა თანასწორობის“ უფლება დაცული უნდა იყოს.

მაგალითად, ჰოლანდიაში, აუცილებელი არ არის შიდა სასამართლო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების თარგმანით უზრუნველყო. მოსამართლეებმა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული კითხვებით შეიძლება მიმართონ ე.წ. ევროპული სასამართლოს კოორდინატორს ("GCE"), რომელიც თითოეულ სასამართლოში არსებობს. ისინი ვალდებულნი არიან

<sup>235</sup> იხილეთ, *Xhavit Haliti v. Switzerland*, საჩ. ნომ. 14015/02, 2005 წლის 1 მარტის განჩინება; აგრეთვე, *Linnekogel v. Switzerland*, საჩ. ნომ. 43874/98, 2005 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება, 35-38 პარაგრაფები.

<sup>236</sup> 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 110s 132/06f.

კოლეგებს ევროპული სასამართლოების პრეცედენტული სამართლის შესაბამისი განვითარების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდონ.